F 111
985

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

№ 11

ნოემბერი НОЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 5/III-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VI-86 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,05.
შეკვეთა № 215 უე 10206 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქართულ ენაში არაქართული სკოლების მოსწავლეთა მე-2 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-3 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ქართული ენითა და ლიტერატურით, საქართველოს ისტორიითა და კულტურით არაქართველ მოსწავლეთა დაინტერესებას, მათ ინტერნაციონალურ აღზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მე-2 რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ, რომელიც ორგანიზებულად ჩატარდა ქ. თბილისში მიმდინარე, 1984—1985 სასწავლო წელს.

ქართულ ენაში არაქართული სკოლების მოსწავლეთა მე-2 რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდა სამ ეტაპად (სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) და რესპუბლიკური. მის ყველა ეტაპზე მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის არაქართული სკოლების VIII, IX და X კლასების 1800-ზე მეტმა მოსწავლემ, დასკვნით ტურში მონაწილე 382 მოსწავლიდან ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით 8, II ხარისხის დიპლომით — 82, ხოლო III ხარისხის დიპლომით 113 მოსწავლე.

ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ფოთის, ახალქალაქის, ახალციხის, კასპის, ზესტაფონის, მცხეთის, დუშეთის, ცხინვალის, ბორჯომის, გაგრის, ასპინძის, გარდაბნის, მაჩხარაძის, თეთრი წყაროს, ზუგდიდის, საგარეჯოს, ცხაკაიას, ბოლნისის, დმანისის, გუდაუთის, ქობულეთის, წალენჯიხის, ტყიბულის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა და სკოლებმა.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილე მოსწავლეთა უმრავლესობამ კარგი ცოდნა გამოამჟღავნა ზეპირ მეტყველებაში, სრულყოფილად გასცა პასუხები ჟიურის მიერ მომზადებულ კითხვებზე ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის შესახებ. გამოირკვა, რომ მოსწავლეები იცნობენ თავიანთი რაიონის კულტურის ძეგლებს, ისტორიას, მათ ასევე კარგად შეასრულეს წერითი დავალებაც. შთამბეჭდავად, მდიდარი ლექსიკით, ენობრივი ნორმების დაცვით, სიტყვების მოხდენილი შერჩევით შეადგინეს პატარა მოთხრობა სურათის მიხედვით. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოსწავლეებმა: ა. რუსეცკიმ, ე. სულეიმანოვმა, ო. ჟარკოვამ, თ. მიხალელიმ (ქ. თბილისის 42-ე, 38-ე, 56-ე, 164-ე, მე-19 საშუალო სკოლები), ლ. მელქუმოვმა (ბათუმის მე-18 საშუა-

Державна ордена Трудового Червоного Прапора Республіканська бібліотека
ბიბ. სსრ კ. მარქსის

ლო სკოლა), მ. ნიკიტინამ (ბორჯომის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა), მ. სლასტინოვმა (რუსთავის მე-7 საშუალო სკოლა), ნ. სოტიევამ (ცხაკაიას რაიონის მე-4 საშუალო სკოლა), ტ. იბალჩენკომ (გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის 1-ლი საშუალო სკოლა), ი. ზაბიტჩუკმა (ქ. ფოთის მე-4 საშუალო სკოლა), ა. კალაიჯევმა (ახალ(ციხის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა), ი. პოზდნიკოვმა (ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა), მ. მუსაევმა, ვ. აშიროვმა (გარდაბნის რაიონის სოფლების კიზილ-ქილისისა და ყარაჯალის საშუალო სკოლები), მ. ვანიანმა (ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისის საშუალო სკოლა), თ. ნაპირიშვილმა (კასპის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა), ხ. ჯავახიშვილმა (დუშეთის რაიონის მე-3 საშუალო სკოლა), მ. მინდორაშვილმა (გურჯაანის რაიონის მე-2 საშუალო სკოლა) და სხვა.

გამარჯვებულ მოსწავლეთაგან 16 ეროვნებით რუსია, 37 — სომეხი, 10 — აზერბაიჯანელი, 15 — ოსი, 6 — ბერძენი, 4 — უკრაინელი, 2 — პოლონელი, 1 —გერმანელი, 2 — ებრაელი, 1 — უზბეკი, 1 — ლეკი.

ამასთან, ოლიმპიადის დასკვნითი ტურის მონაწილეთა ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი ერთი ნაწილი მოუმზადებელი მოვიდა, გაუჭირდა ტექსტის ქართულად თარგმნა, შემასმენლისა და ქვემდებარის შეთანხმება ბრუნვაში, რიცხვში, სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების სწორად ხმარება და ა. შ.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმით არის გამოწვეული, რომ ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და მეთოდური კაბინეტები სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან განათლების სამინისტროს მითითებათა შესრულებას, არ ითვალისწინებენ ამ ოლიმპიადის აღმზრდელობით მნიშვნელობას და უგულისყუროდ ეკიდებიან სასკოლო და საარაონო ტურების ორგანიზაციას, რის შედეგად(ც რიგი რაიონების მოსწავლეებს დასკვნით ტურში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ მხრივ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს სამტრედიისა და ხობის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, რომელთა სკოლების არც ერთ მოსწავლეს ოლიმპიადებში მონაწილეობა არ მიუღია.

ცალკეული ქალაქებისა და რაიონების საორგანიზაციო კომიტეტები კარგად არ იცნობენ ოლიმპიადის დებულებას, რის გამო(ც ადგილი ჰქონდა დარღვევებს ტურის ჩატარებისას. რიგი ქალაქებისა და რაიონების არაქართულ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას, არ ტარდება დამატებითი მეცადინეობა ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეებთან, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ქართული ენისა და ლიტერატურის წრეების მუშაობას, რესპუბლიკის ენის, ლიტე-

რატურის, ისტორიისა და კულტურისადმი პატივისცემის, სიყვარულის ჩანერგვას. დასკვნით ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა ერთი ნაწილი საერთოდ არ გამოცხადდა (ქ. თბილისის 50-ე, 64-ე, 71-ე, 68-ე, 83-ე, 110-ე, 127-ე, 136-ე, 138-ე, 164-ე, 175-ე, ქ. ქუთაისის მე-9, მე-10, მე-13, მე-14, ბოლნისის მე-2, მე-3, მე-4, ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის, თეთრი წყაროს რაიონის მე-2, წითელწყაროს რაიონის, ქ. მარნეულის მე-2, მარნეულის რაიონის სოფელ ხოჯორის, ლაგოდეხის რაიონის მე-2, ზუგდიდის რაიონის 1-ლი სკოლა-ინტერნატის, აბაშის რაიონის რვაწლიანი, რუსთავის მე-11, საგარეჯოს რაიონის სოფლების იორმუღანლოს, ლამბალოს, გარდაბნის რაიონის სოფლების ჯანდარის, ყარაჯალის, დუშეთის რაიონის დაბა ჟინვალის, აბაშისა და წალკის რაიონების სკოლების მოსწავლეები).

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქართულ ენაში არაქართული სკოლების მოსწავლეთა მე-2 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 203 მოსწავლე. მათ შორის I ხარისხის დიპლომით — 8, II ხარისხის დიპლომით — 82, III ხარისხის დიპლომით — 113.

2. 1986—1987 სასწავლო წელს ქართულ ენაში არაქართული სკოლების მოსწავლეთა მე-3 რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს სამ სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), რესპუბლიკურ ტურად. სასკოლო ტური ჩატარდეს 1986 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1987 წლის იანვარში, ხოლო რესპუბლიკური (დასკვნითი) — აპრილის პირველ კვირას. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ჩატარების თარიღს განსაზღვრავენ ოლიმპიადის რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები.

3. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

შ. ძიძიგური — აკადემიკოსი (თავმჯდომარე)

ე. ჭურციკიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)

თ. ციხისელი — რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი (მდივანი)

ზ. ბურდილაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

ნ. ბაღდასარიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

ა. ნასიბოვი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

მ. ჩინჩალაძე — ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი

მ. თავხელიძე — ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდობის იდეურ-აღმზრდელობითი განყოფილების გამგე

რ. გორგაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი

ა. გუჯაბიძე — ა/კ რკინიგზის სამმართველოს სასკოლო განყოფილების მეთოდისტი

გრ. ბერიძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, დოცენტი

ე. გულდამაშვილი — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, დოცენტი

ლ. ვერულაშვილი — ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი

გ. ხარატიშვილი — ქ. თბილისის 131-ე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

4. რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტმა:

4. 1. სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიოს სკოლების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) ტურების მომზადებასა და ჩატარებაში.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

5. 1. უზრუნველყონ ქართულ ენაში არაქართული სკოლების მოსწავლეთა მე-2 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, დასახონ ღონისძიებანი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და ქართული ენის ოლიმპიადაში მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმის მიზნით.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი):

6. 1. განახორციელოს თანამიმდევრული ღონისძიებანი არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საჭირო პრაქტიკული და მეთოდური დახმარება გაუწიოს ქართული ენის მასწავლებლებს, კალენდარულ-თემატიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმების, მეთოდიკური მითითებებისა და დამხმარე მეთოდური ლიტერატურის მიწოდებით, პერიოდულად შეისწავლოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობა და მიიღოს ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის;

6. 2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქართული ენის სწავლების საქმეში მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა-განზოგადების საქმეს.

7. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) დაამთავროს არაქართული სკოლების ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა.

8. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) შეისწავლოს და წარმოადგინოს წინადადებანი ქალაქის რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ან კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე მოზრდილთათვის ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბების შესახებ.

9. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. რ. ძერია) უფრო მეტი ადგილი დაუთმონ არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების მოწინავე გამოცდილებას.

10. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის 1987 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

11. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართულ ენაში რესპუბლიკის არაქართული სკოლების მოსწავლეთა ოლიმპიადის დებულება

1. რესპუბლიკის არაქართული სკოლების მოსწავლეთა ოლიმპიადას ქართულ ენაში ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის ბაზაზე, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტების მონაწილეობით, ორ წელიწადში ერთხელ, დეკემბრიდან აპრილის ჩათვლით.

2. ოლიმპიადის მიზანია არაქართველ მოსწავლეებს აღუძრას ინტერესი ქართული ენისა და ლიტერატურისადმი, აამაღლოს ქართულ ენაში მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, გაუღვივოს პატრიოტული, ინტერნაციონალური და ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის გრძნობები.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების VIII-IX-X კლასების მოსწავლეებს.

4. ოლიმპიადა ქართულ ენაში ტარდება სამ ტურად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და რესპუბლიკური.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

— სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

— რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს რაიონული (საქალაქო) სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

— რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი წინადადებას ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისა და საგნის მასწავლებლების დაჯილდოების შესახებ წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

7. სასკოლო ტური ტარდება 1986 და ყოველი მომდევნო ორი წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1987 წლისა და ყოველი მომდენო ორი წლის იანვარში, რესპუბლიკური — 1987 წლისა და ყოველი მომდევნო ორი წლის აპრილში.

8. სასკოლო ტურში მონაწილე მოსწავლეთა კანდიდატებს შეარჩევენ საგნის მასწავლებლები.

9. სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი განსაზღვრავს პირველ ტურში გამარჯვებულებს, მათ ნაწერებსა და სიებს, დირექტორის

ხელმოწერით, აგზავნის რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებაში.

10. რესპუბლიკური ტურის კანდიდატებს არჩევენ შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები, მათ სიებს, დამოწმებულს განათლების განყოფილების გამგის მიერ, და წერილობით ნამუშევრებს 1987 წლისა და ყოველი მომდევნო ორი წლის 1 მარტამდე უგზავნიან რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც გაეცნობა დამოწმებულ წარმოდგენილ მასალებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს მოიწვევს დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

11. ყოველი ტურის მონაწილე ასრულებს ხუთი სახის დავალებას:

ა) რუსული სკოლის მოსწავლეები — თარგმნიან (წერილობით) მშობლიური ენიდან ქართულზე 10-15 სტრიქონს, სომხური და აზერბაიჯანული სკოლისა — 8-10 სტრიქონს;

ბ) შეადგენენ მოთხრობას სიუჟეტიანი სურათის გამოყენებით (წერილობით); რუსული სკოლის მოსწავლეები წერენ ერთ გვერდს ან გვერდნახევარს, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისა — ნახევარს ან ერთ გვერდს;

გ) კითხულობენ:

რუსული სკოლის მოსწავლეები ერთ-ორგვერდიან უცნობ ტექსტს, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისა — ნახევარ ან ერთ გვერდს და გადმოსცემენ მის შინაარსს (ზეპირად);

დ) უპასუხებენ ზეპირად: რა იციან ქართული ანბანის, ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის შესახებ;

ე) მხატვრულად კითხულობენ ლექსს, იგავ-არაკს ან ნაწყვეტს მოთხრობიდან.

12. კონკურსის თითოეული დავალება ფასდება ხუთბალიანი სისტემით და ჯამდება საბოლოო ნიშნის გამოსაყვანად. უმაღლესი ქულაა 25, გამსვლელი — 20.

13. წერითი ნამუშევარი ფასდება ერთი ნიშნით, ამასთან, მხედველობაში მიიღება, რამდენად ლამაზად და ფაქიზად არის შესრულებული ნამუშევარი.

14. პირველი ხარისხის დიპლომით ჯილდოვდებიან 24, 25 ქულით შეფასებული მოსწავლეები, მეორე ხარისხის დიპლომით — 22-23 ქულით შეფასებულნი, III ხარისხის დიპლომით — 21-22 ქულით შეფასებულნი (მოსწავლე, რომელიც საკონკურსო დავალების რომელიმე ნაწილში არადამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებს, გამარჯვებულად არ ჩაითვლება).

15. მასალას ტურებისათვის ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები (სასკოლო, რაიონული (საქალაქო), რესპუბლიკური).

16. წერით ნამუშევრებზე გარკვევით უნდა დაიწეროს ქართულად მოსწავლის გვარი, სახელი, მამის სახელი, რაიონი (ქალაქი) სკოლა, კლასი.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, გ. ათონელის ქ. № 9, განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი. ტელეფონი: 99-93-25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 31 ოქტომბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების წარმატებით განხორციელებისა და მისი შემდგომი სრულყოფისათვის, სწავლებისა და აღზრდის დონის ამაღლების, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის, მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და აღზრდაში ოჯახისათვის დახმარების გაწევის, გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, მათი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ჩატარდეს გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერება 1985 წლის ოქტომბრიდან 1986 წლის 25 მაისამდე;

1. 1. დამტკიცდეს:

— გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების დათვალიერების დებულება (დანართი 1);

— რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა (დანართი 2).

2. დათვალიერება ჩატარდეს ორ ეტაპად:

I — ადგილობრივი — სარაიონო (საქალაქო) კომისიის მიერ;

II — რესპუბლიკური კომისიის მიერ.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შექმნან გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების დათვალიერების ადგილობრივი კომისიები;

3. 1. ადგილობრივმა კომისიებმა დათვალიერების მასალები გათავისუფლებულ მოუგზავნონ რესპუბლიკურ კომისიას (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველო) 1986 წლის 15 აპრილამდე.

4. რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამოს დათვალიერების შედეგები და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს 1986 წლის ივნისისათვის.

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. ხაჩიძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე დ. იოსელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების დათვალიერება ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1985 წლის ოქტომბრიდან 1986 წლის მაისამდე.

დათვალიერების ამოცანები

1. სკკპ 26-ე ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და აპრილის (1985 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისა და აღზრდილობის დონის ამაღლება, მათი აღზრდა ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

2. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფებისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის, აღსაზრდელთათვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

3. საშეფო და საბაზო ორგანიზაციებთან — კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამრეწველო საწარმოებთან და სხვა დაწესებულებებთან კავშირის დამყარება.

დათვალიერება ტარდება შემდეგი საკითხების მიხედვით:

1. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის, მეცადინეობის ყოველდღიური და ყოველკვირეული განრიგის არსებობა, დასახულ ღონისძიებათა კონკრეტულობა;

საშინაო დავალებათა შესასრულებლად მეცადინეობის ჩატარების ორგანიზაცია და მეთოდიკა, აღმზრდელების კავშირი საგნის მასწავლებლებთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა;

მოსწავლეთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა;

აღსაზრდელთა შრომითი სწავლება და აღზრდა, ტექნიკური შემოქმედების განვითარება. შრომისა და დასვენების ორგანიზაცია;

ბავშვების ფიზიკური მომზადება (კლასგარეშე სპორტული მუშაობა, თამაშები), მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარება.

3. გახანგრძლივებული დღის სკოლების შენობებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების სამეცადინო და დასასვენებელი ოთახების სანიტარიული მდგომარეობა; მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა, კანალიზაციისა და წყალმომარაგების მდგომარეობა, აღსაზრდელთა მიერ პირადი ჰიგიენის დაცვა. პროფილაქტიკური შემოწმების დროულად ჩატარება, შტატების მედიცინის მუშაკებით დაკომპლექტება.

4. მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია:

სასადილოებისა და სამზარეულოს სანიტარიული მდგომარეობა, მათი უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური აღჭურვილობითა და ჭურჭლით;

კვების პროდუქტებით მომარაგება (ხორცი, რძე, კარაქი, წვენები, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა), კერძების მრავალფეროვნება და კალორიულობა, მათი ვიტამინიზაცია;

საცდელ ნაკვეთებზე მოყვანილი კვების პროდუქტების გამოყენება;

აღსაზრდელთა მომსახურების კულტურა, მათი კულტურული ქცევის ჩვევები; პურისა და სხვა კვების პროდუქტებისადმი პატივისცემა.

5. მოსწავლეთა საძინებლების რბილი და მაგარი ინვენტარით აღჭურვა (ლოგინითა და თეთრეულით, მაგიდებით, სკამებით, ტანსაცმლისა და წიგნების კარადებით, სარკეებით, პირსაბანებით, საკიდებით, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსამკაულის მდგომარეობა და შენახვა).

დასასვენებელი, სათამაშო და გასართობი ოთახების გამოყოფა — კეთილმოწყობა.

6. პედაგოგიური კადრები, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში და აღსაზრდელთათვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში მაღალი მაჩვენებლების მქონე ცალკეული აღმზრდელებისა და მთლიანი კოლექტივის გამოცდილების შესწავლა.

7. კავშირი შეფ და საბაზო ორგანიზაციებთან, სამრეწველო საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან, მათი მონაწილეობა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფებისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება

სახალხო განათლების განყოფილებები, კომკავშირის რაიკომები, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტები საორგანიზაციო კომიტეტში წარმოადგენენ ინფორმაციას დათვალიერების შედეგების შესახებ და აგრეთვე წინადადებებს საუკეთესო კოლექტივებისა და მუშაკების წახალისების შესახებ 1986 წლის 15 აპრილამდე.

საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივები, ადგილობრივი კომიტეტები, კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, აღმზრდელები, პროფკავშირისა და კომკავშირის აქტივისტები, რომლებმაც გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცკ-ის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

გამარჯვებული სკოლებისა და ჯგუფების დასაჯილდოებლად რაიონების განათლების განყოფილებებს დამატებით გამოეყოფათ სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად ცენტრალიზებული თანხები: I ადგილისათვის — 1000 მანეთი; II ადგილისათვის — 700 მანეთი; III ადგილისათვის — 500 მანეთი

დანართი 2

რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა

1. კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)
2. ხაჩიძე მ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ვარდოსანიძე გ. ბ. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
5. კერესელიძე ო. ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი
6. ივანიძე ნ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

7. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

8. ქევხიშვილი თ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი

9. ძლიერიშვილი კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი

10. ბერუჩაშვილი ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაგეგმვის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი

11. ჭუმბაძე გ. პ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

12. ფირცხალავა შ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

13. ზიბზიბაძე ს. კ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ინტერნატული დაწესებულებების მეთოდური კაბინეტის გამგე

14. იაშალაშვილი ნ. — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ინტერნატული ტიპის სასკოლო დაწესებულებების მეთოდკაბინეტის გამგე

15. ნოზაძე ნ. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

16. მამაცაშვილი რ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

17. ჟორჟოლაძე ა. ს. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგე

18. მოისწრაფიშვილი ვ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი

РЕШЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ТОРГОВЛИ ГРУЗИНСКОЙ ССР И МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О снабжении продуктами питания детских домов и школ-интернатов республики и мерах по дальнейшему его улучшению

31 октября 1985 года

Министерство торговли Грузинской ССР совменстно с Министерством просвещения Грузинской ССР в сентябре текущего года проверило состояние снабжения продуктами питания детских домов и школ-интернатов районов Хашури и Цхинвали.

Проверкой установлено, что организациями системы Министерства торговли Грузинской ССР на местах проведены определённые мероприятия по улучшению питания воспитанников вышеуказанных детских учебных заведений.

В отличие от предыдущих лет, сравнительно лучше и организованнее детские дома и школы-интернаты обеспечиваются продуктами питания. В основном они завозятся бесперебойно и поставляются через сеть общественного питания (для детских домов) и специализированные магазины (для школ-интернатов) путёмелкого опта. Повсеместно на базах Минторга ГССР имеется запас всех продуктов в достаточном ассортименте.

Однако отмечается, что в организации питания воспитанников некоторых детских домов и школ-интернатов республики всё ещё продолжают иметь место существенные недостатки. Остаётся нерешённым вопрос ритмичного и полного объёма снабжения плодоовощами и картофелем детских домов и школ-интернатов районов Хашури, Цхинвали, Зугдиди, Цхакая и др., особенно в зимне-осеннее время.

Так, за первое полугодие текущего года детские дома и школы-интернаты районов Хашури и Цхинвали недополучили картофеля 11 т. из выделенных 21,7 т. или 46%, овощей — 18 т. из 24 т. или 45%, фруктов — 23 т. из 58 т. или 40%.

Нередко указанные детские дома и учебные заведения получают дорогостоящие продукты (яйца, мясо), что завышает себестоимость блюд.

Неудовлетворительно в этих районах интернатные учрежде-

F5900

ния снабжаются цельно-молочными продуктами — творогом, молоком.

Так, в Цхинвальском районе за I полугодие воспитанники недополучили 1622 кг творога, 6448 литров молока, а воспитанники Хашурского района 671 литр молока и 783 кг творога за тот же период. Детские дома и школы-интернаты указанных районов за I полугодие вообще не получали рыбное филе.

Аналогичное положение в районах Цхакая, Самтредия, г. г. Зугдиди и Поти.

В целях искоренения отмеченных недостатков в снабжении продуктами питания детских домов и школ-интернатов системы Минпроса ГССР коллегии Министерства торговли и Министерства просвещения ГССР решают:

1. Обязать Министерства торговли Абхазской и Аджарской АССР, Облторготдел Юго-Осетинской АО, Управления торговли и общественного питания Тбилисского и Руставского, Кутаисского и Зугдидского, Самтредского и Цхакаевского, Хашурского, Потийского и Телавского горисполкомов, торговые организации ОРСы и УРСы, а также рай(гор) отделы народного образования Министерства просвещения Грузинской ССР:

1. 1. Постоянно в торговых организациях иметь в наличии в достаточном ассортименте и высокого качества продукты питания, необходимые для бесперебойного снабжения дестких домов и школ-интернатов системы Министерства просвещения Грузинской ССР;

1. 2. Обеспечить первоочередное снабжение вышеуказанных детских учебных заведений улучшенным ассортиментом рыбной продукции, столовыми яйцами, мясом — говядиной II категории, а также другими продуктами питания в соответствии с заявками этих интернатных учреждений;

1. 3. Строго предупредить руководителей подведомственных организаций, не обеспечивающих должный контроль за принципом первоочередного обеспечения детских домов и школ-интернатов продуктами питания в широком ассортименте.

В случае выявления аналогичных фактов, в дальнейшем принимать по отношению к ним более строгие меры дисциплинарного взыскания;

1. 4. Дать строгое указание всем госбюджетным организациям о разработке единой формы заявки на завоз им продуктов питания с представлением последней торговым организациям

своей зоны в определенные дни недели (по обоюдному согласованию);

1. 5. Ежеквартально проверять указанное состояние снабжения продуктами питания детских домов и школ--интернатов; результаты проверки и отчеты о проделанной работе сообщать Минторгу и Минпросу Грузинской ССР.

2. Просить Министерство плодоовощного хозяйства Грузинской ССР взять под особый контроль бесперебойное снабжение всех госбюджетных организаций, включая детские дома и школы-интернаты картофелем, плодоовощами и фруктами.

3. Просить Минмясопром ГССР принять необходимые меры для ритмичного и бесперебойного снабжения указанных учебных учреждений цельно-молочной продукцией в широком ассортименте и в пределах установленного им рыночного фонда;

3. 1. Обязать Р/К «Грузмясомолторга» с учетом потребностей госбюджетных организаций представлять Минмясомолпрому ГССР заявку на выработку цельно-молочной продукции в разрезе регионов ассортимента.

4. Контроль за выполнением данного решения возложить на Управление торговли продовольственными товарами Министерства торговли Грузинской ССР и Управление школ-интернатов и детских домов Министерства просвещения Грузинской ССР.

Первый Заместитель Министра торговли Грузинской ССР
Н. Шарашенидзе

Министр просвещения Грузинской ССР
О. Кинкладзе

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის სრულყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმის შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობას შორის თავისუფალი დროს ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში უდიდესი როლი ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც იძლევა მოზარდთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების საშუალებას და ქმნის მათი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის სწორად წარმართვისა და განვითარების პირობებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების, აგრეთვე ამავე საკითხზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 4 ივლისის № 14/7 გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმა გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის).

2. სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ დასახულ ღონისძიებათა დროულად შესრულებაზე.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ ღრმად გააანალიზონ მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხები, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისშიებათა შესახებ“ შესასრულებლად.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესასრულებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა

გეგმა

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციისა და შინაარსის სრულყოფა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

1. 1. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვებსა და მოზარდებთან მომუშავე ორგანიზატორთა დასახმარებლად მეთოდური რეკომენდაციის მომზადება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთობლივად
1986 წლის II კვარტალი

1. 2. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით მეთოდიკური რეკომენდაციების „დისკოთეკა მოსწავლეთათვის“, „სასკოლო დისკოთეკა“ შემუშავება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე
1985 წლის IV კვარტალი

1. 3. მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების აღზრდის დარგში პასუხისმგებელი მუშაკებისათვის.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1985 წლის IV კვარტალი

1. 4. პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან და სასახლეებთან მუდმივმოქმედი სემინარებისათვის სასწავლო გეგმის შემუშავება პედაგოგ-ორგანიზატორთა დასახმარებლად.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე
1986 წლის I კვარტალი

1. 5. „ასტრონომთა და კოსმონავტთა“, „ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი“ წრეებისათვის პროგრამების შემუშავება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური

1986 წლის IV კვარტალი

1. 6. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტების შედგენა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური

1986 წლის II კვარტალი

1. 7. ინტერესების მიხედვით სხვადასხვა კლუბებისა და გაერთიანებების მუშაობის გააქტიურება, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებების, სპორტული შეჯიბრებების, მხატვრული, ნატურალისტური და ტექნიკური შემოქმედების გამოფენების რეგულარულად ჩატარება.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური, ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური სადგური

ყოველწლიურად

2. მოსწავლე ახალგაზრდობასთან კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

2. 1. რესპუბლიკის ერთ-ერთ რეგიონში მიკრორაიონის მოსახლეობასთან საზოგადოებრივი საქმიანობის, კულტურულ-საგანმანათლებლო და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაციისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კოოპერირებული შენობის საცდელი მშენებლობის პროექტის შემუშავება და განხორციელება.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილება აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოსთან ერთად

1986—1988 წლები

3. მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის ნორმატიული ბაზის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა.

3. 1. სასწავლო და სკოლისგარეშე დაწესებულებათა სპორტული ნაგებობებისა და საქტო დარბაზების რაციონალურად გამოყენებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო
1986 წლის I კვარტალი

4. მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება.

4. 1. ქ. თბილისის საქარხნო, 1-ლი მაისისა და საბურთალოს რაიონებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშაობის გამოცდილების შესწავლა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
1986 წლის II კვარტალი

4. 2. ქ. ქ. ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის საბავშვო პარკების კადრებით უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1986 წლის IV კვარტალი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში საგამომგონებლო, რაციონალიზატორული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში საგამომგონებლო, რაციონალიზატორული მუშაობის როლის ამაღლების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების საქმეში მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო, აქტიური მონაწილეობის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულების მიზნით კოლეგიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს:

— მოახდინონ არსებული ძალების კონცენტრირება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებაში ფართოდ ჩაბმისათვის, საგამომგონებლო, რაციონალიზატორული მუშაობის ხაზით მოსწავლე ახალგაზრდობის ინდივიდუალურ შესაძლებლობათა განვითარებისათვის ხელისშემწყობი პირობების შესაქმნელად;

— შეისწავლონ ადგილებზე ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებების ამ პროფილით მუშაობის საკითხი და 1985 წლის 30 ნოემბრამდე აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოში წარმოადგინონ წინადადებები ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ქსელის გაფართოების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, კომპეტენტური, კვალიფიციური პედაგოგიური კადრის სამუშაოდ მოზიდვის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე დასაყენებლად.

2. თელავის, გურჯაანის, ახალქალაქის, ახალციხის, სამტრედიის, ცხაკაიას, ზესტაფონის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ა. თვალიაშვილი, ვ. დარჩიაშვილი, ნ. გრიგორიანი, მ. ჟუჟუნაძე, კ. ძნელაძე, კ. შარტავა, გ. ბურჯანაძე), ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით, გამოძებნონ შესაძლებლობანი და სათანადო ბაზა ადგილებზე ნორჩ ტექნიკოსთა სადგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების შექმნის მიზნით და ამის შესახებ წინადადებები წარმოადგინონ ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველოში 1985 წლის 30 ნოემბრამდე.

3. ქ. გორის, ბორჯომის, ვანის, დმანისის, ყვარლის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, მცხეთის, წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ნ. კახნიაშვილი, ნ. ჩადუნელი, ა. ენუქიძე, მ. გულიევი, ზ. იოსებაშვილი, ე. ხმალაძე, გ. თავხელიძე, ნ. ოდიშვილი, ხ. ანასტასოვი) 1985—1986 სასწავლო წლის მანძილზე დასახონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტექნიკური წრეების ჩამოყალიბებისათვის.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ტექნიკური პროფილის წრეების ჩამოყალიბების ან არსებულის სტრუქტურული შეცვლისას გაითვალისწინონ მოცემულ რეგიონში არსებულ საწარმოთა პროფილის შესაბამისად მოთხოვნილებები ძირითად მუშურ პროფესიებზე და თანამედროვე ტექნიკის შემსწავლელი, ავტომატიკის, გამოთვლითი ტექნიკის, კიბერნეტიკის, ტექნიკური ესთეტიკის (დიზაინი) და სხვ. წრეების გახსნა;

— მიიღონ ზომები გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ქსელის გასაფართოებლად და ახალი ორგანიზაციების შესაქმნელად იმ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, სადაც არსებობს მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური და შრომითი გაერთიანებები, საბაზო საწარმოების გამომგონებლთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პირველად ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით;

— მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედება წარმართონ საწარმო-ორგანიზაციების, საბაზო საწარმოების წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად, რათა ამ პრობლემებმა ასახვა ჰპოვონ ტექნიკური წრეების, მოსწავლეთა შრომითი გაერთიანებების მუშაობის თემატიკაში;

— გაატარონ ღონისძიებები ტექნიკური წრეების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ძუშაობაში საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების, სტუდენტთა მოზიდვისათვის, შესაძლებლობის მიხედვით სახელშეკრულებო თემების დამუშავების პროცესში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ცალკეული ლაბორატორიებისა და კათედრების საქმიანობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისათვის;

— უზრუნველყონ მოსწავლეთა ტექნიკურ შემოქმედებაში მასობრივად ჩაბმისათვის მათი აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკურ დათვალიერებაში, დევიზით „XII ხუთწლედს — ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და შემოქმედება!“, რომელიც 1986—1990 წლებში ჩატარდება.

5. ეთხოვოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს მოამზადოს სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის სანიმუშო პროგრამა და მეთოდური ლიტერატურა საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ორგანიზაციისათვის.

6. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, საქალაქო და ზონალურმა ინსტიტუტებმა ტექნიკური საგნების, ტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა გადამზადების პროცესში აქტიურად ჩააბან გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური და საქალაქო საბჭოს მუშაკები, გამომგონებლები, პატენტმცოდნეები.

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღშზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 4 ნოემბრის ბრძანება № 675

ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტის გამგის ვ. კუპრავას არაპედაგოგიური მოქმედების შესახებ

დადგინდა, რომ ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტის გამგე ვ. კუპრავა ბოროტად იყენებდა დაკისრებულ მოვალეობას, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მეთოდური დახმარების ნაცვლად ინსპექტირებას ატარებდა.

მან სოფელ გელათის საშუალო სკოლის რვაკლასდამთავრებულ თ. კირკიტაძეს, რომელსაც 1984 წლიდან 1985 წლის 30 სექტემბრამდე ფაქტიურად არსად არ უსწავლია, ყალბი საბუთები შეუქმნა, რომელიც თ. კირკიტაძის საღამოს სკოლის მე-9 კლასში, თითქოსდა, კანონიერი ჩარიცხვის საფუძველს იძლეოდა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებამ:

1. 1. მოსწავლე თ. კირკიტაძე ჩააბას ზოგადსაგანმანათლებლო დღის ან საღამოს სკოლის მე-9 კლასში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

1. 2. არსებული წესის დაცვით შეცვალოს მოსწავლე თ. კირკიტაძის მე-8 კლასის დამთავრების მოწმობა.

2. ქუთაისის საღამოს 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების დირექტორები: ამხ. ამხ.: ლ. ზედაშიძე და ი. მაჩიტაძე გაფრთხილებულ იქნან, რათა შემდგომში მეტი ყურადღებით მოეკიდონ სკოლაში ჩასარიცხი მოსწავლეების საბუთების განხილვის საქმეს.

3. ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ჟ. ჯულაყიძეს დაქვემდებარებული დანაყოფებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც ამხ. ვ. კუპრავას არაპედაგოგიური მოქმედება განაპირობა, მიეთითოს.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტის გამგე ვ. კუპრავა განთავისუფლებულია აღნიშნული თანამდებობიდან.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 4 ნოემბრის ბრძანება № 678

ლენტეხისა და ცაგერის რაიონების სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში, თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა სამუშაოზე დანიშვნის მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ ლენტეხისა და ცაგერის რაიონების სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში, თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში წინა წლებთან შედარებით უფრო სრულყოფილი გახდა მასწავლებელთა სამუშაოზე დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების საქმე.

ამასთან, არაერთგზის მითითების მიუხედავად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე მასწავლებლებად არასპეციალისტების დანიშვნის შემთხვევებს. მაგალითად, დაბა ლენტეხის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად 27 საათზე განათლების განყოფილების მიერ (ამხ. ბ. დ. ტვილდიანი) დანიშნულია უცხო ენის სპეციალისტი ე. გ. ლიპარტელიანი, რომელიც 15 წლის განმავლობაში გერმანულ ენას ასწავლიდა; სოფელ ხელდის საშუალო სკოლის სიმღერა-მუსიკის მასწავლებლად 3 საათზე დანიშნულია ნ. თ. ლიპარტელიანი, რომელსაც არავითარი მუსიკალური განათლება არ აქვს და 1983 წელს კულაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური სასწავლებელი დაუმთავრებია; სოფელ ჟახუნდრის საშუალო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელად, განათლების განყოფილების გამგის გვერდის ავლით, სკოლის დირექტორის ბრძანებით დაინიშნა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 1980 წლის კურსდამთავრებული ხ. ჯ. ონიანი, ხოლო სოფელ ცანის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებლად (34 საათზე) — რ. ა. დევდარიანი, რომელმაც 1983 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი დაამთავრა; უფრო მეტი, თ. ჟ. რატიანი, რომელმაც 1982 წელს მოსკოვის ხალხთა მეგობრობის ორდენის სახელობის კოოპერაციული ინსტიტუტი დაამთავრა საქონელმცოდნეობის სპეციალობით, სოფელ მახაშის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლადაა დანიშნული.

ანალოგიური დარღვევები აღინიშნება ცაგერის რაიონშიც (ამხ. დ. კოპალიანი). მაგალითად: არასპეციალობით, სამინისტროს ნებართვის გარეშე, სოფელ საირმის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგია-ქიმიის მასწავლებლად (24 საათზე) დანიშნულია ნ. ბ. ალავიძე, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული ტექნოლოგის სპეციალობით, ხოლო სოფელ ისუნდრის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებლად (18 საათზე) — ო. ა. მამარდაშვილი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ამავე რაიონის სოფელ ჩხუტელის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლად (6 საათზე) 1985 წლის თებერვალში დაინიშნა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი რ. მურცხველიძე, ხოლო სოფელ ოყურეშის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელად (10 საათზე) — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი თ. ჟ. ყურაშვილი.

მსგავსი დარღვევებია თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატშიც (ამხ. ნ. გ. დუმბაძე). მაგალითად: ქ. ქარსელაძე (დამთავრებული აქვს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი), რომელიც 1984 წლის 20 თებერვალს განათლების სამინისტროს ბრძანებით აღმზრდელად დაინიშნა, ამავე წლის 1 სექტემბრიდან დირექტორის მიერ არასპეციალობით გადაყვანილია ამავე ინტერნატის დაწყებითი კლასების მასწავლებლად, რითაც დაირღვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქცია თანამდებობათა ნომენკლატურისა და ნომენკლატურულ მუშაკთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესის შესახებ. ამავე სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებელი ი. ე. ფიჩხაძე (უცხო ენის სპეციალისტი) 1984 წელს, ასევე დირექტორის ბრძანებით, დაწყებითი კლასების მასწავლებლადაა გადაყვანილი. 1982 წლის ოქტომბრიდან აღმზრდელ-მასწავლებლად მ. გ. ჩხიკვაძე დაინიშნა, ხოლო ბიბლიოთეკის გამგეს, ნ. იოსელიანს, 1984 წლის ოქტომბრის თვიდან სამინისტროს ბრძანების გარეშე შეთავსებული ჰქონდა რიტმიკის მასწავლებლის ნახევარი (9 საათი) განაკვეთი.

ადგილი აქვს აგრეთვე სამინისტროს ნებართვის გარეშე 1-ლი და მე-2 კურსის სტუდენტთა მასწავლებლებად დანიშვნის შემთხვევებს: ლენტეხის სკოლა-ინტერნატის რუსული ენის მასწავლებლად დანიშნულია თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი რ. გ. მუხაშავრია, ხოლო სოფელ სასაშის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტი მ. სვანიძე და სხვ.

არის საშუალო ზოგადი განათლების მქონე პირთა განათლების

სამინისტროს ნებართვის გარეშე მასწავლებლად დანიშვნის შემთხვევებიც: ლენტეხის რაიონის სოფელ ცანის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლად (27 საათზე) დანიშნულია საშუალო ზოგადი განათლების მქონე მ. თ. ჩარკვიანი; ცაგერის რაიონის სოფელ ჩქუმის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებლად — საშუალო სკოლადამთავრებული ბ. ა. თუთისანი, ხოლო სოფელ ჩხუტელის საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებლად — აგრეთვე ზოგადი საშუალო განათლების მქონე მ. შკუბელიანი.

შეინიშნება თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლისა და უცხო ენების 2-წლიან კურსდამთავრებულთა არასპეციალობით დანიშვნის შემთხვევები მაშინაც, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობს. ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებლად (6 საათზე) დანიშნულია თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებული ფ. ო. ლიპარტელიანი. რ. ნ. უგულავა ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში (6 საათზე) გერმანული ენის მასწავლებლადაა დანიშნული. ამავე რაიონის სოფელ ოყურეშის საშუალო სკოლის სახვითი ხელოვნების მასწავლებლად 4 საათზე აგრეთვე დანიშნულია თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებული ს. ი. მეიფარიანი.

ზოგჯერ განათლების განყოფილება, მუშაკის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს, უხეშ დარღვევებს უშვებს. მაგალითად: ლენტეხის რაიონის სოფელ მელურის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ზ. ვ. ზურაბიანი (დამთავრებული აქვს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ორწლიანი კურსები) 1985 წელს გადაყვანილ იქნა სოფელ ბაბილოს საბავშვო ბაღის გამგედ, ხოლო ლენტეხის სკოლა-ინტერნატის უფროსი პიონერხელმძღვანელი (დაამთავრა თბილისის პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა) თ. გ. მუსელიანი გადაყვანილ იქნა ამავე სოფლის საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლად.

მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა სამუშაოზე დანიშვნის საქმეში ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. აღკვეთონ სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში არაპედაგოგიური და ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირთა მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე საათებზე და შეთავსებით დანიშვნის შემთხვევები, როცა ამისა ცილებლობა არ არის; არ დაუშვან განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე არასპეციალური განათლების მქონე მასწავლებლებისა და I-II-III კურსის სტუდენტების სამუშაოზე დანიშვნა;

1. 2. უზრუნველყონ ყოველი წლის 15 თებერვლისათვის განათლების სამინისტროში პედაგოგიურ კადრებზე განაცხადების წარმოდგენა, სკოლისა და სასწავლო დატვირთვის ჩვენებით;

1. 3. გადამჭრელი ზომები მიიღონ არასათანადო ცენზის მქონე კადრების დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად.

2. განათლების სამინისტროს რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

2. 1. აღკვეთონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამდებობათა ნომენკლატურისა და ნომენკლატურულ მუშაკთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად სკოლებში. სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მასწავლებელთა და აღმზრდელთა სამუშაოზე დანიშვნა ან ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა.

3. ცნობად იქნას მიღებული, რომ ლენტეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ბ. დ. ტვილდიანი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

4. აღმზრდელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა სამუშაოზე დანიშვნის, გადაყვანისა და გათავისუფლების საქმეში დაშვებული დარღვევებისათვის ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. დ. კ. კოპალიანს და თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ნ. გ. დუმბაძეს მიეცეთ შენიშვნა.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. დ. ვაჩნაძე) დააწესოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების დებულების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა რეალიზაციის მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების ახალი დებულება.
2. დებულება დაიბეჭდოს 700 ეგზემპლარად.
3. აღმზრდელობითი მუშაობისა და სახელმძღვანელოების სამმართველოებმა (ამხ. ე. ზარქუა, ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების დებულების ადგილებამდე დაყვანა.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1978 წელს დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების შესახებ“.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

„შეთანხმებულია"
განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბ-
ლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. მ. იოსელიანი
10 ნოემბერი 1985 წ.

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
ო. დ. ქინქლაძე
10 ნოემბერი 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

სამუსიკო სტუდიების შესახებ

I. სტუდიის მიზანი და ამოცანები

სამუსიკო სტუდია წარმოადგენს მოზარდი თაობის მუსიკალურ-ესთეტიკური განათლების კერას და მოწოდებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მჭიდრო კავშირით ხელი შეუწყოს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდას.

სამუსიკო სტუდია მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის ზოგადი მუსიკალური განათლების მიცემას, მათი მუსიკალური მონაცემების გამოვლენასა და ნიჭიერი ბავშვების მომზადებას საშუალო და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად.

II. სტუდიის ორგანიზაციული წყობა და სტრუქტურა

1. სამუსიკო სტუდია შეიძლება გაიხსნას რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების შუამდგომლობით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (სპეციალურ ანგარიშზე) რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, პიონერთა სახლებთან და სასახლეებთან სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და კვალიფიციური კადრის არსებობის პირობებში, სახალხო განათლების განყოფილებისათვის დამტკიცებული შრომის გეგმის (ხელფასის ფონდისა და მუშაკთა რიცხოვნობის), სამმართველო აპარატის რიცხოვნობისა და მისი შენახვისათვის გათვალისწინებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

შენიშვნა: სამუსიკო სტუდია (ფილიალი) შეიძლება დაიხუროს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების ბრძანებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე, არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მოსწავლეთა მცირე კონტინგენტისა და არაკვალიფიციური კადრის არსებობის პირობებში.

2. განათლების ადგილობრივმა განყოფილებამ განაცხადი სტუდიის (ფილიალის) გახსნის თაობაზე უნდა წარადგინოს საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სამინისტროში აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმების შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე სამი თვით ადრე.

სამუსიკო სტუდიის გახსნისათვის აუცილებელია მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს ქალაქად არანაკლებ 50 ბავშვისა, სოფლად — 30-ისა.

შენიშვნა: კონტინგენტის სიმცირის შემთხვევაში სამუსიკო სტუდიის ახლომდებარე სოფლებში შეიძლება გაიხსნას ფილიალები (კონტინგენტი განისაზღვრება არანაკლებ 20 მოსწავლით).

3. სამუსიკო სტუდია ხელმძღვანელობს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ შემუშავებული, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით ,რომელიც შეთანხმებულია განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან.

4. სწავლებაში ახალი ეფექტური ფორმებისა და მეთოდების დანერგვის მიზნით, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის წარდგენით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე ზოვიერთ სამუსიკო სტუდიას მიეცემა პედაგოგიური ექსპერიმენტის უფლება. რომელიც განზოგადდება და დაინერგება მისი შედეგების მეცნიერულად დასაბუთების შემდეგ.

შენიშვნა: ექსპერიმენტის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, სასწავლო გეგმების განხილვა-დამტკიცება, კადრების შერჩევა ხდება აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის უშუალო ხელმძღვანელობით.

5. სამუსიკო სტუდიაში შეიძლება გაიხსნას კლასები: ფორტეპიანოს, სიმიებიანი, ხალხურ საკრავთა, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტების სპეციალობით.

კლასების გახსნა სპეციალობის მიხედვით დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე (არანაკლებ 6 მოსწავლისა). პედაგოგიური კადრებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების აუცილებელი რაოდენობის არსებობაზე.

6. სამუსიკო სტუდიაში დადგენილია სწავლების შემდეგი ვადები:

შვიდწლედში:

ა) ფორტეპიანოსა და სიმიებიან საკრავთა შემსწავლელ კლასში — 7 წელი;

ბ) ხალხურ საკრავთა, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტების შემსწავლელ კლასში — 5 წელი.

ათწლედში:

7. ყველა საკრავთა შემსწავლელთათვის — 3 წელი (მე-8, 9 კლასები).

სამუსიკო სტუდიის დამთავრებისას მოსწავლე იღებს მოწმობას, რომელიც შვიდწლიანი სტუდიის კურსდამთავრებულს უფლებას აძლევს მისაღები გამოცდები ჩააბაროს საშუალო სპეციალურ სასწავლებელში, ათწლიანი სტუდიის კურსდამთავრებულს კი — სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში.

შენიშვნა: სამუსიკო სტუდიის დამთავრების მოწმობა კურსდამთავრებულს პედაგოგის კვალიფიკაციას არ ანიჭებს.

III. სამუსიკო სტუდიაში მოსწავლეთა მიღების წესები:

1. სამუსიკო სტუდიაში შესვლის მსურველნი მიიღებიან კონკურსის გარეშე.

2. სამუსიკო სტუდიაში შემსვლელ მოსწავლეთა ასაკი კლასების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

ა) 1-ლ კლასში (ფორტეპიანოს, ვიოლინოს სპეციალობით) ჩაირიცხებიან 6-8 წლის ბავშვები;

ბ) მე-8 კლასში 13-14 წლის მოზარდები.

ხალხური საკრავების, სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტების სპეციალობით 1-ლ კლასში მიიღებიან 6-10 წლის ბავშვები.

მე-8 კლასში შემსვლელი ფრიადოსანი მოსწავლეები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, ხოლო კარგი და დამაკმაყოფილებელი ნიშნის მქონე მოსწავლეები გამოცდებს როგორც სპეციალობაში, ისე თეორიულ საგნებში ჩააბარებენ (მისაღები გამოცდები ტარდება ივნისში და ფორმდება ოქმით).

შენიშვნა: ქორწინებაში მყოფი მოქალაქენი სამუსიკო სტუდიაში არ მიიღებიან.

განცხადება სამუსიკო სტუდიაში მიღების თაობაზე იწერება სკოლის დირექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის დაბადების მოწმობა (ასლი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ერთი ფოტოსურათი, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, მოსწავლის ჯანმრთელობის ცნობა.

სამუსიკო სტუდიაში სხვა სტუდიიდან ან სამუსიკო სკოლიდან მოსწავლე გადმოიყვანება უგამოცდოდ, იმავე კლასში (წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე).

სამუსიკო სტუდიაში მოსწავლეთა მიღება დასაშვებია II-III-IV კლასებში სპეციალობასა და თეორიულ საგნებში სათანადო პროგრამის ჩაბარების შემდეგ.

შენიშვნა: სამუსიკო სტუდიაში მოსწავლეების ჩარიცხვის ვადა გრძელდება 1 ნოემბრამდე.

IV. სამუსიკო სტუდიის სასწავლო პროცესის ორგანიზება

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სამუსიკო სტუდიაში სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა ხორციელდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე.

2. სამუსიკო სტუდიაში მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება 25 ივნისს.

3. საშემოდგომო, ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგები ეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

4. სამუსიკო სტუდიაში დადგენილია სასწავლო მეცადინეობის შემდეგი სახეები:

ა) ინდივიდუალური მეცადინეობა (სპეციალობაში, აკომპანიმენტში, ანსამბლსა და სავალდებულო ფორტეპიანოში);

ბ) ჯგუფური მეცადინეობა (მუსიკალურ-თეორიულ საგნებში);

გ) გამოსვლები ღია და აკადემიურ კონცერტებზე.

5. მოსწავლეთა მოსწრება და ყოფაქცევა ფასდება ხუთქულიანი სისტემით.

6. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ეწყობა კლასების მიხედვით (I-X კლასებისათვის), ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გამოცდების ვადების გათვალისწინებით. გამოსაშვები გამოცდები მოეწყობა არაუგვიანეს 30 მაისისა, ხოლო გადასაყვანი გამოცდები 6-დან 15 ივნისამდე.

7. მოსწავლეები, რომლებიც ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო სასწავლო პროგრამის ნახევარს ვერ დაძლევენ, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დატოვებულ იქნან იმავე კლასში.

8. მოსწავლეები, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ, კარგი აკადემიური მოსწრებისა და სასწავლო პროგრამის სრული ათვისების შემთხვევაში, შემაჯამებელი ნიშნების საფუძველზე შეიძლება გადაყვანილ იქნან შემდეგ კლასში.

9. იმ მოსწავლეებს, რომლებიც გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას „დამაკმაყოფილებელი“ ან „კარგი“, საგნის გადაბარების უფლება არ ეძლევათ.

10. მოსწავლე, რომლებმაც გამოსაშვებ გამოცდებზე „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი მიიღეს ან გამოცდების პერიოდში მწვავე დაავადება გადაიტანეს (სამედიცინო ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში), განმეორებითი გამოცდები ივნისში დაენიშნებათ.

11. მოსწავლეებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ძირითად და დამატებით გამოსაშვებ გამოცდებზე გასვლის საშუალება (მძიმე დაავადება, უბედური შემთხვევა და ა. შ.) უფლება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები ერთი წლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მოსწავლეებს, რომლებმაც ძირითად და განმეორებით გამოცდებზე რომელიმე საგანში მიიღეს „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება, მოწმობის ნაცვლად მიეცემათ ცნობა კურსის მოსმენის შესახებ

შენიშვნა: ყველა გამონაკლისი შემთხვევა ნებადართული უნდა იყოს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ, სათანადო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

13. განათლების ადგილობრივმა განყოფილებამ ცნობა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ უნდა წარმოადგინოს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში არაუგვიანეს 1 მარტისა. გამოსაშვები გამოცდების ვადებსა და ცხრილებს ადგენს და ამტკიცებს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი.

14. გამოსაშვები გამოცდების კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურას წარადგენს რაიონის განათლების განყოფილება აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში დასამტკიცებლად. კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირი.

სხვა შემთხვევაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის წარმომადგენელი.

15. მოსწავლეების გადაყვანა შემდეგ კლასში და კურსდამთავრებულთათვის მოწმობის გაცემა ფორმდება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

16. სამუსიკო სტუდიის დამთავრების მოწმობა გაიცემა აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ.

17. ორი წლის პროგრამის ერთ წელიწადში გავლის ყოველი ცალკეული შემთხვევა განიხილება აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში სათანადო საბუთების წარდგენის შემდეგ.

18. სამუსიკო სტუდიაში გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება ექსტერნის წესით აკრძალულია.

19. სტუდიიდან მოსწავლე გაირიცხება არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების, დისციპლინის უხეში დარღვევისა და სწავლის ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

V. სამუსიკო სტუდიის პედაგოგიური საბჭო

1. მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ძირითადი საქმიანობის სწორად წარმართვისა და სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხის გადასაწყვეტად სამუსიკო სტუდიაში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც იკრიბება ყოველ სასწავლო სემესტრში არანაკლებ ორჯერ.

2. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, სამუსიკო სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე (თავმჯდომარე), მასწავლებლები (საჭიროების შემთხვევაში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე იწვევენ მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარეს).

3. მდივნის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელსაც ირჩევენ ერთი წლის ვადით.

4. პედაგოგიური საბჭო:

ა) განიხილავს სამუსიკო სტუდიის სამუშაო გეგმებს (სასწავლო ნაწილის გამგისა და მეთოდკომისიისა — ცალ-ცალკე);

ბ) სახავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა შორის იდეურ-პოლიტიკური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ ამაღლებას;

გ) ისმენს სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგისა და პედაგოგების ინფორმაციებს სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის მდგომარეობის შესახებ, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

დ) ადგენს გადასაყვანი გამოცდების ზუსტ ვადებს, კურსდამთავრებულთათვის მოწმობების გაცემის, წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების, სტუდიიდან ცალკეულ შემთხვევებში მოსწავლეთა გარიცხვის და სხვა საკითხებს;

ე) ამტკიცებს მეთოდკომისიის შემადგენლობას (არანაკლებ 3 პედაგოგისა). ოქმში უნდა გაშუქდეს პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგანი, კამათში გამომსვლელთა სიტყვების მოკლე შინაარსი და მიღებული დადგენილებები.

5. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარემ სისტემატური კონტროლი უნდა გაუწიოს მიღებული დადგენილების შესრულებას.

6. სამუსიკო სტუდიის მუშაობის შესახებ საკითხი უნდა განიხილოს სკოლის საერთო პედაგოგიურმა საბჭომ, წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

VI. სამუსიკო სტუდიის ხელმძღვანელობა

1. მუსიკალური აღზრდის დარგში ქალაქის (რაიონის) მეთოდისტებად აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებით დაინიშნებიან უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პირები, რომელთაც აქვთ არანაკლებ 5 წლის პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. მუსიკალური აღზრდის დარგში ქალაქის (რაიონის) მეთოდისტის უფლება-მოვალეობაში შედის:

ა) სამუსიკო სტუდიის მეთოდური და საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელობა, დახმარება, კონტროლი და პასუხისმგებლობა;

ბ) სამუსიკო სტუდიაში მეთოდური და პრაქტიკული ღონისძიებების მოწყობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამუსიკო სტუდიისათვის პედაგოგიური კადრების შერჩევა-აღრიცხვა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი სამუსიკო სტუდიის დირექტორიც არის. მას ევალება ხელმძღვანელობა და კონტროლის დაწესება სამუსიკო სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ორგანიზებაზე.

4. სკოლის დირექტორის უფლებაში შედის:

ა) ადმინისტრაციული პერსონალის დადგენილი წესით დანიშვნა-განთავისუფლება, სამუსიკო სტუდიისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობა და მუშაობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

ბ) ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის შერჩევა.

შენიშვნა: დამლაგებელი, საქმეთა მმართველი, მნე, ინსტრუმენტების ამწყობი ინიშნება სტუდიის შენახვისათვის აუცილებელი სახსრების არსებობის შემთხვევაში;

გ) მოსწავლეთა მიღებისა და კურსდამთავრებულთა გამოშვების წესების დაცვა:

დ) კონტაქტის განმტკიცება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მასთან არსებულ სამუსიკო სტუდიას შორის;

ე) ფინანსური დისციპლინის დაცვა და საერთო კონტროლის გაწევა დოკუმენტაციის წარმოებაზე;

ვ) სტუდიის შრომის დისციპლინისა და შინაგანაწესის დამრღვევ თანამშრომელთათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სასწავლო ნაწილის გამგის დანიშვნა-განთავისუფლება ხდება დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. სასწავლო ნაწილის გამგეს ნიშნავს და ათავისუფლებს განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილება აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებით.

6. სამუსიკო სტუდიის გამგეს უნდა ქონდეს უმაღლესი სპეციალური განათლება.

შენიშვნა: რაიონებში, სადაც ჰყავთ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე კადრი, გამონაკლისის სახით დაინიშნებიან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები.

7. სამუსიკო სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგე:

ა) პასუხისმგებელია სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზებაზე, პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შედგენა-შესრულებაზე, მოსწავლეთა მოსწრებასა და დისციპლინაზე;

ბ) ადგენს სტუდიის სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს განათლების განყოფილებას.

შენიშვნა: იმ რაიონებში, სადაც არ ჰყავთ სამუსიკო სტუდიების მეთოდისტები, სტუდიის სამუშაო გეგმები დასამტკიცებლად იგზავნება აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში;

გ) ამოწმებს და ამტკიცებს მოსწავლეთა ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის სამუშაო გეგმებს, როგორც სპეციალობაში, ისე თეორიულ საგნებში (თუ სტუდიაში არ არის მეთოდისტი);

დ) ესწრება მეცადინეობებს სპეციალურ და თეორიულ საგნებში, ამოწმებს სწავლების მეთოდებსა და ფორმებს, კონტროლს უწევს მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის ცხრილის ზუსტად დაცვას;

ე) ამოწმებს მეთოდკომისიის მუშაობას, აკონტროლებს საკლასო ჟურნალების დღიურების დროულ და წესიერ წარმოებას, მოსწავლეთა დასწრებას, შეფასების ობიექტურობას;

ვ) ანგარიშს აბარებს მშობელთა კომიტეტს სამუსიკო სტუდიის დანაზოგის ხარჯვისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ზ) აწარმოებს დოკუმენტაციის ყველა ფორმას თუ სამუსიკო სტუდიაში არ არის საქმისმწარმოებელი;

თ) ადგენს წლიურ ხარჯთაღრიცხვას, აწესრიგებს საფინანსო დისციპლინას.

8. სასწავლო ნაწილის გამგეს უფლება აქვს თავისი სპეციალობით ეწეოდეს პედაგოგიურ მუშაობას. მისი დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 განაკვეთს. მისი პედაგოგიური მუშაობა განისაზღვრება 3 აკადემიური საათით დღეში.

9. სამუსიკო სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო დღე განისაზღვრება 7 საათით.

10. მუსიკალური აღზრდის დარგში ქალაქის (რაიონის) მეთოდისტებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, სამუსიკო სტუდიების მეთოდისტებს, მასწავლებლებს ცალკეულ შემთხვევებში განათლების ადგილობრივი განყოფილების შუამდგომლობის საფუძველზე, აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის ნებართვით, შესაძლებელია მიეცეთ ორი განაკვეთი (საფუძველი — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1976 წლის 29 დეკემბრის წერილი № 05-1-2).

VII. სამუსიკო სტუდიის მეთოდისტისა და მეთოდკომისიის მოვალეობა

1. სამუსიკო სტუდიაში მეთოდისტს ნიშნავს განათლების ადგილობრივი განყოფილება განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი

მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებით. მეთოდისტს უნდა ჰქონდეს უმაღლესი სპეციალური განათლება და პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

2. სამუსიკო სტუდიის მეთოდისტი:

ა) ამტკიცებს მოსწავლეთა ინდივიდუალური მეცადინეობებისა და მუსიკალურ-თეორიული საგნების მასწავლებელთა სასწავლო-სამუშაო გეგმებს, ამოწმებს მათ შესრულებას, თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, ესწრება მეცადინეობებს და მეთოდურ დახმარებას უწევს მასწავლებლებს;

ბ) აწარმოებს მოსწავლეთა გამოცდების ჩაბარებისა და აკადემიურ კონცერტებზე მონაწილეობის საალრიცხვო ჟურნალს (შესრულების მეთოდური ანალიზით);

გ) ატარებს და ისმენს სხვა პედაგოგთა ღია გაკვეთილებს.

3. მეთოდკომისია:

ა) ყოველი სემესტრის დასაწყისში მეთოდისტთან ერთად ადგენს სამუშაო გეგმებს და განიხილავს მათ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე;

ბ) სასწავლო ნაწილის გამგის მიერ დადგენილ ვადებში აბარებს მას სამუშაო გეგმის შესრულების ანგარიშს;

გ) მონაწილეობას იღებს მისაღები და გადასაყვანი გამოცდების ორგანიზაციაში.

VIII. სამუსიკო სტუდიის მასწავლებლები

1. სამუსიკო სტუდიის მასწავლებელი, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, ინიშნება განათლების ადგილობრივი განყოფილების მიერ, დადგენილი წესით. უპირატესობა ენიჭებათ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პირებს.

2. განაცხადი სტუდიაში ახალი კადრების საჭიროებაზე სკოლის დირექტორმა უნდა წარუდგინოს განათლების ადგილობრივ განყოფილებას. პედაგოგიური კოლექტივის დაკომპლექტება უნდა დამთავრდეს 15 სექტემბრამდე.

შენიშვნა: თეორიულ საგნებში პედაგოგი ინიშნება ჯგუფების რაოდენობის მიხედვით.

3. მასწავლებლები სასწავლო ნაწილის გამგეს წარუდგენენ მეცადინეობის ცხრილს, აწვდიან ცნობებს სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესრულების, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, მეცადინეობებზე დასწრებისა და ყოფაქცევის შესახებ.

4. სამუსიკო სტუდიაში ილუსტრატორებად და კონცერტმეისტერებად ინიშნებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IX. სამუსიკო სტუდიის მშობელთა კომიტეტის მიზნები და ამოცანები

1. სამუსიკო სტუდიის მშობელთა კომიტეტს ერთი წლის ვადით ირჩევს მშობელთა კრება.

2. მშობელთა კომიტეტის უფლება-მოვალეობანი:

ა) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარესა და მდივანს;

ბ) მუშაობაში ხელმძღვანელობს სტუდიის დებულებით, კრებაზე მიღებული წლიური სამუშაო გეგმით, სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მითითებებით;

გ) მშობელთა კომიტეტის დადგენილებით მცირე შემოსავლიანი ოჯახების შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ სწავლის გადასახადიდან (იმ შემთხვევაში თუ სტუდიას გააჩნია ფულადი დანაზოგი);

დ) მონაწილეობს სტუდიის სამეურნეო საქმიანობაში;

ე) ხარჯავს ფულად დანაზოგს თავისი გადაწყვეტილებით;

ვ) ეხმარება სამუსიკო სტუდიას ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებაში;

ზ) ატარებს კრებებს (სემესტრში ორჯერ, აწარმოებს კრების ოქმებს);

თ) მუშაობის ანგარიშს აბარებს მშობელთა საერთო კრებას.

X. სამუსიკო სტუდიის საქმისწარმოება და ანგარიშგება

1. სამუსიკო სტუდია განათლების განყოფილებას დადგენილ ვადებში წარუდგენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, ფინანსური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს და სტატისტიკურ ცნობებს (დაწესებული ფორმით).

2. სამუსიკო სტუდია უნდა აწარმოებდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი საჭირო დოკუმენტაციის ყველა ფორმას.

3. სამუსიკო სტუდია ბრძანების წიგნს აწარმოებს ცალკე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისაგან დამოუკიდებლად.

სამუსიკო სტუდიის დოკუმენტებია:

1. ბრძანების წიგნი (დალუქული და ზონარგაყრილი)
2. პედაგოგთა მოსვლა-წასვლის ტაბელი
3. სტუდიაში სწავლის მსურველთა განცხადების ბლანკი
4. მისაღები და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ოქმები
5. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მეცადინეობის საერთო ცხრილი და პედაგოგთა ინდივიდუალურ მეცადინეობათა ცხრილები

6. სამუსიკო სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგის სამუშაო გეგმა
7. სამუშაო გეგმები თეორიულ საგნებში
8. მეთოდკომისის სამუშაო გეგმა
9. კონტინგენტის მოსწრების ჟურნალი პედაგოგების მიხედვით
10. კონტინგენტის მოსწრების ჟურნალი კლასების მიხედვით
11. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
12. საკლასო ჟურნალი სპეციალობაში
13. საკლასო ჟურნალი თეორიულ საგნებში
14. მოსწავლის დღიური
15. მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმები
16. მოსწავლეთა პირადი საქმეები
17. მეთოდური მუშაობის სააღრიცხვო ჟურნალი
18. მშობელთა საერთო კრებისა და კომიტეტის სხდომების ოქმების ჟურნალი
19. მოსწავლეთა დახურულ და ღია აკადემიურ კონცერტებზე, საარაონო და საქალაქო, რესპუბლიკურ დათვალიერებებზე მონაწილეობის სააღრიცხვო ჟურნალი
20. სწავლის გადასახადის სააღრიცხვო ჟურნალი
21. მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის სააღრიცხვო ჟურნალი
22. გამოსაშვები გამოცდების ოქმები სპეციალობაში
23. საგამოცდო ფურცლები თეორიულ საგნებში
24. საგამოცდო ფურცლები სპეციალობაში
25. მოსწავლეთა სტუდიის დამთავრების მოწმობების სააღრიცხვო ჟურნალი (დალუქული და ზონარგაყრილი)
26. მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაცია
27. ანგარიშსწორების უწყისი
28. საინვენტარიზაციო უწყისი
29. სწავლის გადასახადის ქვითრები

XI. სამუსიკო სტუდიის ფინანსური საქმიანობის ძირითადი საკითხები

1. სამუსიკო სტუდიის მასწავლებელთა ხელფასის ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 5 იანვრის განათლების მუშაკთა ხელფასის გამოსაანგარიშებელი ინსტრუქციის 25-ე მუხლის მიხედვით.

2. ხელფასის განაკვეთები, სტუდიის მასწავლებლებს უნაზღაურ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებათ ოთხწლედში 20 საათის, შვიდწლედსა და ათწლედში კვირაში 18 საათის პედაგოგიური მუშაობისათვის:

№	განათლების ცენზი	პედაგოგიური მუშაობის სტაჟი			
		1-დან 5 წლამდე	5-დან 10 წლამდე	10-დან 15 წლამდე	15 წ. და მეტი
1.	უმაღლესი განათლება	90	100	105	110
2.	საშუალო სპეციალური განათლება	85	90	95	100
3.	ზოგადი საშუალო განათლება	80	80	85	85

3. სამუსიკო სტუდიის მოსწავლეთა მშობლებისაგან შემოსული თანხა ჩაირიცხება იმ დაწესებულების სპეციალური სახსრების ანგარიშზე, რომელთანაც იხსნება სამუსიკო სტუდია (სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1981 წლის 12 ივნისის № 120 ინსტრუქციის შესაბამისად).

4. სამუსიკო სტუდიის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს განათლების ადგილობრივი განყოფილება საფინანსო განყოფილებასთან შეთანხმებით.

5. მშობელთა მიერ შემოტანილი თანხა შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ სამუსიკო სტუდიის საჭიროებისათვის.

6. საანგარიშო წლის ბოლოსათვის სახსრების თავისუფალი ნაშთი ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხვას არ ექვემდებარება და გამოიყენება სამუსიკო სტუდიაში სწავლების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად.

7. თუ სამუსიკო სტუდიაში 50-მდე მოსწავლე ირიცხება, ერთ-ერთი პედაგოგი სასწავლო და საორგანიზაციო ხელმძღვანელობისათვის ინიშნება უფროს მასწავლებლად და მიეცემა ხელფასზე დანამატი 15 მანეთის ოდენობით, 51-100 მოსწავლეზე ინიშნება სასწავლო ნაწილის გამგე მუსიკალური აღზრდის დარგში 0,5 განაკვეთზე, ხოლო თუ მოსწავლეთა რიცხვი 100-ზე მეტია — 1,0 განაკვეთზე. სასწავლო ნაწილის გამგეებისათვის ხელფასების ოდენობა განისაზღვრება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 5 იანვრის გა-

ნათლების მუშაკთა ხელფასის გამოსაანგარიშებელი ინსტრუქციის მე-16— VI მუხლის მიხედვით:

№	მოსწავლეთა კონტინგენტი	უმაღლესი განათლების მქონეთათვის	უმაღლესი განათლების არამქონეთათვის
1.	50-მდე	15 მან.	15 მან.
2.	51-დან 100-მდე	50 მან.	47, 50 მან.
3.	101-დან 300-მდე	100 მან.	75 მან.
4.	301-დან 400-მდე	105 მან.	100 მან.
5.	400-ზე მეტი	110 მან.	105 მან.

8 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ან იმ დაწესებულების დირექტორს, სადაც სამუსიკო სტუდიაა გახსნილი, ეძლევა ხელფასის დანამატი თითოეულ მოსწავლეზე თვეში 15 კაპიკის ოდენობით.

9. თუ სამუსიკო სტუდიაში 200-მდე მოსწავლეა, მეთოდისტი ინიშნება 0,5 განაკვეთზე, ხოლო 200-ზე მეტ მოსწავლეზე — 1,0 განაკვეთზე.

სამუსიკო სტუდიის მეთოდისტის ხელფასის ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1977 წლის 5 იანვრის განათლების მუშაკთა ხელფასის გამოსაანგარიშებელი ინსტრუქციის მე-20 მუხლის მიხედვით.

№	განათლების ცენზი	პედაგოგიური მუშაობის სტაჟი		
		5-დან 10 წლამდე	10-დან 15 წლამდე	15 წ. და მეტი
1.	უმაღლესი განათლებით	100	105	110
2.	საშუალო სპეციალური განათლებით	90	95	100

10. იმ ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებაში ან მეთოდურ კაბინეტში, სადაც სამუსიკო სტუდიების მოსწავლეთა კონტინგენტი არანაკლებ 250 მოსწავლეს შეადგენს, შეიძლება დაინიშნოს

მეთოდისტი მუსიკალური აღზრდის დარგში 0,5 განაკვეთზე, ხოლო 250-ზე მეტი მოსწავლის შემთხვევაში 1,0 განაკვეთზე. მათი ხელფასის ანაზღაურება ხდება სამუსიკო სტუდიების შემოსავლიდან. ამ მიზნით სტუდიები განათლების განყოფილების ანგარიშზე გადარიცხავენ კუთვნილ თანხას.

№	განათლების ცენზი	პედაგოგიური მუშაობის სტაჟი			
		5-დან 10 წლამდე	10-დან 15 წლამდე	15-დან 25 წლამდე	25-ზე მეტი
1.	უმაღლესი განათლებით	120	130	140	150
2.	საშუალო სპეციალური განათლებით	105	115	125	135

11. სწავლის საფასური მშობლებმა უნდა გადაიხადონ შემნახველ სალაროში, სამუსიკო სტუდიის ანგარიშზე, ყოველი კვარტალის პირველი თვის 10 რიცხვისათვის. გადასახადის ხელზე აკრეფა სტუდიის თანამშრომლებს სასტიკად ეკრძალებათ.

12. თეორიული საგნების პედაგოგებს ჯგუფური მეცადინეობისათვის დატვირთვა აუნაზღაურდებათ არსებული წესით (დანართი 2).

13. საკრავების ამწყობზე თითოეული ინსტრუმენტის შეკეთებისათვის შეიძლება გაიცეს გასამრჯელო თვეში 3 მანეთის ოდენობით. საკრავების კაპიტალური შეკეთებისათვის სკოლას უფლება აქვს საჭირო თანხა გადაურიცხოს სათანადო დაწესებულებას.

14. სამუსიკო სტუდიაზე გაპიროვნებული ბუღალტერიის საანგარიშო დარგის მუშაკს მიეცემა დამატებითი ანაზღაურება თითოეულ მოსწავლეზე თვეში 15 კაპიკის ოდენობით.

შენიშვნა: ბუღალტერია ვალდებულია სამუსიკო სტუდიას ყოველი კვარტალის ბოლოს მიაწოდოს ცნობები სტუდიის შემოსავალ-გასავლის მდგომარეობის შესახებ.

15. სკოლის სამნეო ნაწილის გამგეს სამუსიკო სტუდიის ყოველ მოსწავლეზე თვეში 15 კაპიკი ეძლევა (რაც არ უნდა აღემატებოდეს მისი ხელფასის ნახევარს).

16. სამუსიკო სტუდიაში საქმის წარმოებისათვის სკოლის ან

სტუდიის ერთ-ერთ მუშაკზე გაიცემა გასამრჯელო თითოეულ მოსწავ-
ლეზე 15 კაპიკი თვეში.

17. სკოლის დამლაგებელს სამუსიკო სტუდიის ყოველ ერთ მოს-
წავლეზე ეძლევა თვეში 15 კაპიკი.

18. სამუსიკო სტუდია საფინანსო მეურნეობას დამოუკიდებ-
ლად აწარმოებს.

19. საშემოდგომო, ზამთრის, საგაზაფხულო და ზაფხულის არ-
დადეგების პერიოდში პედაგოგების ხელფასი ანაზღაურდება ტარი-
ფიკაციით, დადგენილი წესის მიხედვით.

20. სამუსიკო სტუდიის სასწავლო ნაწილის გამგისა და მასწავ-
ლებლის შვებულების ხანგრძლივობა 48 დღეა, მუსიკალური აღზრდის
დარგში ქალაქის (რაიონის) და სამუსიკო სტუდიების მეთოდისტები-
სა — 36 დღე.

21. თუ მოსწავლე გაირიცხა ან საკუთარი სურვილით სტუდიიდან
გავიდა დარჩენილი თანხა მშობელს უბრუნდება.

22. თუ მოსწავლეს რამდენიმე თვის სწავლის გადასახადი შე-
ტანილი ჰქონდა და საპატიო მიზეზის გამო სტუდიაში არ დადიოდა, გა-
ცდენილი გაკვეთილები უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი თვეების ან-
გარიშში.

23. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე საპატიო მიზეზით გააცდენს
მეცადინეობას ან იგი გაცდება მასწავლებლის, დაწესებულების მიზე-
ზით, გაკვეთილები აუცილებლად უნდა აღდგეს.

24. სტუდიის მოსწავლეთა სწავლებისათვის გადასახადის ოდენო-
ბა დგინდება მშობელთა კომიტეტსა და პროფკავშირულ ორგანიზა-
ციასთან შეთანხმებით სტუდიის შენახვისათვის აუცილებელი ხარჯე-
ბის გათვალისწინებით. გადასახადის თანხის განსაზღვრისათვის საჭი-
როა შედგეს თანამშრომელთა ტარიფიკაცია და ხარჯთაღრიცხვა, სა-
დაც გათვალისწინებული უნდა იყოს შემოსავლისა და გასავლის ოდე-
ნობა, ამ დებულებიდან გამომდინარე თანამშრომელთა ხელფასები,
საკანცელარიო თანხები და სხვა ხარჯები.

შენიშვნა: ექსპერიმენტის ხელმძღვანელი ინიშნება 101-დან 150-
მდე მოსწავლის შემთხვევაში 0,5 განაკვეთზე, 151-ის ზე-
ვით 1 განაკვეთზე. მისი ხელფასის ანაზღაურება ხდება
პედაგოგების ხელფასის ანაზღაურების ანალოგიურად.

25. სამუსიკო სტუდიების ილუსტრატორების და კონცერტმეის-
ტერების ხელფასის ანაზღაურება ხდება პედაგოგების ხელფასის ანა-
ზღაურების ანალოგიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან არსებული სამუსიკო სტუდიის სასწავლო გეგმა

I-VII კლასების საფორტეპიანო სპეციალობისათვის

№	საგნის დასახელება	აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში						
		I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.
1	სპეციალობა	2	2	2	2	2	2	2
2	სოლფეჯიო	2	2	2	2	2	2	2
3	მუსლიტერატურა	—	—	—	2	2	2	2
4	ანსამბლი	—	—	—	0,5	0,5	—	—
5	აკომპანემენტი	—	—	—	—	—	0,5	0,5

სამუსიკო სტუდიის VIII-X კლასების საფორტეპიანო სპეციალობისათვის

№	საგნის დასახელება	აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში		
		VIII კლ.	IX კლ.	X კლ.
1	სპეციალობა	2	2	2
2	სოლფეჯიო	2	2	2
3	ელემენტარული თეორია	1	—	—
4	ჰარმონია	—	2	2
5	მუსლიტერატურა	2	2	2
6	ანსამბლი	0.5	—	—
7	აკომპანემენტი	—	0,5	0,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსიკო სტუდიის I-VII კლასების სიმებიანი საკრავების სპეციალობისათვის

№	საგნის დასახელება	აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში						
		I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.	VI კლ.	VII კლ.
1	სპეციალობა	2	2	2	2	2	2	2
2	საერთო ფორტეპიანო	—	0,5	0,5	0,5	0,5	0,5	0,5
3	სოლფეჯიო	2	2	2	2	2	2	2
4	მუსლიტერატურა	—	—	—	2	2	2	2
5	ანსამბლი	—	—	0,5	0,5	—	—	—

სამუსიკო სტუდიის VIII-X კლასების სიმებიანი საკრავების სპეციალობისათვის

№	საგნის დასახელება	აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში		
		VIII კლ.	IX კლ.	X კლ.
1	სპეციალობა	2	2	2
2	საერთო ფორტეპიანო	0,5	0,5	0,5
3	სოლფეჯიო	2	2	2
4	ელემენტარული თეორია	1	—	—
5	ჰარმონია	—	2	2
6	მუსლიტერატურა	2	2	2
7	ანსამბლი	0,5	0,5	0,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსიკო სტუდიის I-V კლასების სასულე, დასარტყამი და ხალხური საკრავების სპეციალობისათვის

№	საგნის დასახელება	აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში				
		I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.	V კლ.
1	სპეციალობა	2	2	2	2	2
2	საერთო ფორტეპიანო	—	—	0,5	0,5	0,5
3	სოლფეჯიო	2	2	2	2	2
4	მუსლიტერატურა	—	—	2	2	2
5	ანსამბლი	—	0,5	0,5	—	1

სამუსიკო სტუდიის I-V კლასების სასულე, დასარტყამი და ხალხური საკრავების სპეციალობისათვის

№	საგნის დასახელება	აკადემიური საათების რაოდენობა კვირაში		
		VIII კლ.	IX კლ.	X კლ.
1	სპეციალობა	2	2	2
2	საერთო ფორტეპიანო	0,5	0,5	0,5
3	ელემენტარული თეორია	1	—	—
4	სოლფეჯიო	2	2	2
5	ჰარმონია	—	2	2
6	მუსლიტერატურა	2	2	2
7	ანსამბლი	0,5	0,5	0,5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პუნქტი 1

(დებულების XI თავის, მე-12 პუნქტისათვის სახელმძღვანელოდ)

თეორიულ საგნებში ერთი გაკვეთილის ხანგრძლივობა შემდეგნაირად განისაზღვრება:

1. თუ ჯგუფში გაერთიანებულია 1-5 მოსწავლე, გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი (კვირაში ერთი მეცადინეობა).

(გამონაკლისს წარმოადგენენ გამოსაშვები ჯგუფები, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 65 წუთისა).

2. თუ ჯგუფში 6-დან 9-მდე მოსწავლეა, გაკვეთილის ხანგრძლივობაა 65 წუთი (კვირაში ერთი მეცადინეობა).

3. თუ ჯგუფში 10 მოსწავლეა, გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი (კვირაში ორი მეცადინეობა).

შენიშვნა: დასაშვებია მეცადინეობის ჩატარება კვირაში ერთხელ, ე. ი. 2 გაკვეთილი, თითოეული 45 წუთის ხანგრძლივობით (მათ შორის აუცილებელია 5-10 წუთიანი დასვენება).

პედაგოგს ხელფასი უნაზღაურდება მოსწავლეთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით.

პედაგოგის ხელფასის გასაანგარიშებლად ჯგუფში უნდა ირიცხებოდეს 10 მოსწავლე.

მაგალითი პედაგოგის ხელფასის გასაანგარიშებლად.

თუ პედაგოგი 7 ჯგუფს ამეცადინებს, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა ასეთია:

1 კლასი	12 მოსწავლე
მე-2 კლასი	8 მოსწავლე
მე-3 კლასი	14 მოსწავლე
მე-4 კლასი	5 მოსწავლე
მე-5 კლასი	10 მოსწავლე
მე-6 კლასი	6 მოსწავლე
მე-7 კლასი	3 მოსწავლე

ამ შემთხვევაში ჯგუფების რაოდენობა განისაზღვრება მოსწავლეთა საერთო რაოდენობით (58 მოსწავლე).

მოსწავლეთა მიღებული რაოდენობა იყოფა 10-ზე (გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი გამოითიშება).

58 : 10= ჯგ (ან 5×2=10 აკად. საათს კვირაში).

ამ შემთხვევაში პედაგოგი ღებულობს 5 საანგარიშო ჯგუფის

ხელფასს, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად 7 ჯგუფთან ატარებს მეცადინეობას.

ეს წინააღმდეგობა აიხსნება ზემომოყვანილი საათობრივი სატარიფო ცხრილის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პედაგოგი გაკვეთილებს ატარებს:

მე-2 კლასთან	65 წუთი
მე-4 კლასთან	45 წუთი
მე-5 კლასთან	65 წუთი
მე-7 კლასთან	65 წუთი

(ძე-7 კლასის ჯგუფი გამოსაშვებია).

უკეთ რომ ვთქვათ, პედაგოგი ზემომოყვანილ ჯგუფებთან მეცადინეობისას უფრო ნაკლებ დროს ხარჯავს, ვიდრე 1-ლ, მე-3 და მე-6 კლასთან. როგორც მაგალითებიდან ჩანს, თეორიული საგნების პედაგოგის ხელფასი ანაზღაურდება მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მიხედვით. ამასთან ერთად, კრიტერიუმად მიიჩნევა დროის ის რაოდენობა, რომელსაც თეორიული დისციპლინების პედაგოგი აღნიშნულ საგანში გაკვეთილის ჩატარებას ანდომებს.

პუნქტი 2

(ათწლიანი სწავლების სტუდიების სახელმძღვანელოდ)

ერთი გაკვეთილის დროის ხანგრძლივობა დაწყებითი კლასების თეორიულ საგნებში დადგენილია ამ დანართის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში სოლფეჯიოში, მუსლიტერატურაში, მუსიკის ელემენტარულ თეორიასა და ჰარმონიაში გაკვეთილების ხანგრძლივობა უნდა შეეფარდებოდეს სამუსიკო სტუდიების სასწავლო გეგმაში მოცემულ სამეცადინო საათების ცხრილს.

ამასთანავე, პედაგოგებს ყველა სამუშაო საათი მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავად უნაზღაურდებათ.

წინამდებარე დებულება არ ექვემდებარება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას მისივე მოწერილობის თანახმად (სამინისტროს სისტემაში გახსნილ დაწესებულებათა შესახებ დებულებებს ამტკიცებს თვით სამინისტრო ცალკეულ საკითხებზე დადგენილი კანონმდებლობის გათვალისწინებით — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წერილი № 05-1/05 04.09.85).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 11 ნოემბრის ინსტრუქციული წერილი № Ш-2-32 19/8

სასკოლო დოკუმენტებში ცვლილებების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1984 წლის 12 აპრილს მიღებული № 313 ერთობლივი დადგენილების „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ შესასრულებლად რვაწლიანი განათლების მოწმობისა და საშუალო განათლების ატესტატის ბლანკებში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

1. „რვაწლიანი განათლების მოწმობას“ 1986 წლიდან ეწოდება „არასრული საშუალო განათლების მოწმობა“.

2. არასრული საშუალო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულზე გასაცემად შემოღებულია „არასრული საშუალო განათლების მოწმობა წარჩინებით“, რომლის გარეკანზე აღნიშნული სახელწოდება დაბეჭდილია ოქროსფრად.

3. ატესტატის ბლანკებში 1986 წლიდან ტექსტში ჩაემატა „ეთიკასა და საოჯახო ცხოვრების ფსიქოლოგიაში“, 1987 წლიდან კი — საგანთა ჩამონათვალს გეომეტრიის შემდეგ დაემატება: „ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“.

საგანს „შრომითი სწავლება“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდება „შრომითი და პროფესიული სწავლება“.

4. მოწმობისა და ატესტატის ტექსტი შეივსო სწავლასა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ბეჯითობისათვის შეფასების შესახებ ჩანაწერით.

5. ოქროს ან ვერცხლის მედლით დასაჯილდოებელთა ატესტატის ბლანკს გარეკანზე შესაბამისად გაუკეთდა წარწერა ოქროს ან ვერცხლისფრად.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ИНСТРУКТИВНОЕ ПИСЬМО МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об изменениях в школьной документации

11 ноября 1985 года, № ф-2-3219/8

Во исполнение постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 12 апреля 1984 года № 313 «О дальнейшем совершенствовании общего среднего образования молодежи и улучшении условий работы общеобразовательной школы» в бланки свидетельств о восьмилетнем образовании и аттестатов о среднем образовании внесены следующие изменения:

1. Название «Свидетельство о восьмилетнем образовании» заменено на «Свидетельство о неполном среднем образовании».

2. Для окончивших с отличием неполную среднюю школу введены бланки «Свидетельство о неполном среднем образовании с отличием», на лицевой стороне которого текст выполнен золотым тиснением.

3. В тексте бланков аттестатов с 1986 года включены: «Этика и психология семейной жизни», а с 1987 года после предмета геометрия — «Основы информатики и вычислительной техники».

Изменено название претмета «Трудовое обучение» на «Трудовое и профессиональное обучение».

4. Дополнен текст свидетельства и аттестата записью об оценке по прилежанию к учению и общественно полезному труду.

5. На лицевой стороне бланков аттестатов для награжденных золотой или серебряной медалью текст выполнен соответственно золотым или серебряным тиснением.

Министр О. Кинкладзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება

მეცნიერული კომუნიზმის სკოლების 1984—1985 სასწავლო წლის მუშაობის შედეგებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 3029 მეცნიერული კომუნიზმის სკოლა, რომელშიც 70430 კაცი სწავლობს, რაც პედაგოგთა საერთო რაოდენობის 75,6% შეადგენს, წარმოადგენს მასწავლებელთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლების ძირითად ფორმას პოლიტიკური განათლების სისტემაში. იგი მსმენელებს ფართო საშუალებას აძლევს ღრმად აითვისონ მარქსისტულ-ლენინური თეორია პედაგოგიკურ მეცნიერებასა და მოწინავე პედაგოგიკურ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ სკოლებში სწავლა ხელს უწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას, მოსწავლეთა აღზრდისათვის, პედაგოგიური კადრების პირადი პასუხისმგებლობის გამომუშავებას, ასტიმულირებს მასწავლებელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელი ადგილის ძიუდვით მოსახლეობას შორის სააგიტაციო-პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში.

გასულ სასწავლო წელს აღნიშნულ სკოლებში ისწავლებოდა სახალხო განათლების მუშაკთათვის მეტად აქტუალური და საჭირო საკითხი „სკოლის რეფორმა, როგორც განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის შემადგენელი ნაწილი". ამ საკითხის შესწავლა დიდად დაეხმარა სახალხო განათლების მუშაკებს სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა იდეების, პრობლემებისა და ამოცანების ღრმა და საფუძვლიან აღქმაში, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასთან მათ დაკავშირებაში.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ქ. თბილისის კალინინის, პირველი მაისისა და გლდანის რაიონების, აჭარის ასსრ, ქუთაისის, მახარაძის, წყალტუბოს, საგარეჯოს, გორისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების მეცნიერული კომუნიზმის სკოლები, სადაც მეცადინეობისათვის მზადებისას მათი მსმენელები არა მარტო რეკომენდებულ ლიტერატურას კითხულობენ, არამედ ანალიზს უკეთებენ პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობის სხვადასხვა მხარეს, საკუთარ პრაქტიკას, გამოთქვამენ დასაბუთებულ მოსაზრებებს მათი სრულყოფისათვის.

მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მუშაობის მაღალ დონეს დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ პროპაგანდისტებად მუშაობენ საკმაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგები, სკოლისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკები. მათ დასახმარებლად პერიოდულად ეწყობა მოკლევადიანი სემინარები და კონსულტაციები ცალკეული თემების მიხედვით. თეორიულ საკითხებთან ერთად საჭირო ყურადღება ეთმობა პროპაგანდისტთა მეთოდიკური დახელოვნების საკითხს, ტარდება ღია საჩვენებელი მეცადინეობები. რიგ რაიონებში დიდ მზრუნველობას იჩენენ დამწყები პროპაგანდისტებისადმი, რომლებზედაც მიმაგრებულნი არიან დამრიგებელი პროპაგანდისტები (ჩოხატაურის, მცხეთის, ახალქალაქის რაიონები).

პროპაგანდისტები შესასწავლ თემებს მჭიდროდ უკავშირებენ სასკოლო ცხოვრების საკითხებს, პრობლემებს, გადასაჭრელ ამოცანებს, რაც დადებით გავლენას ახდენს პედაგოგთა მუშაობაზე, ხელს უწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა პრაქტიკულ განხორციელებას. ადგილებზე შექმნილია პოლიტიკური განათლების მეთოდური საბჭოები. საბჭოს წევრები პერიოდულად ესწრებიან სემინარებსა და სკოლების მეცადინეობებს, შედეგები ადგილებზე ანალიზდება, ხოლო რიგ შემთხვევაში საკითხი მზადდება და იხილება მეთოდური საბჭოს, აგრეთვე განათლების საბჭოს სხდომაზე, ისახება სათანადო ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. რაიკომის ბიუროს სხდომებზე, პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და ბიუროს სხდომებზე მტკიცედ დაძკვიდრდა მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მუშაობის საკითხების განხილვა (ონის, აბაშის, მცხეთის, ჩოხატაურის რაიონები, ქ. თბილისის გლდანის, კალინინის, ოქტომბრის რაიონები), შემოღებულია სწავლების შედეგების ანალიზის ერთ-ერთი ფორმა — პროპაგანდისტების სამეცნიერო-პრაქტიკული, მეთოდური კონფერენციები, რომლებზეც განიხილება პოლიტიკური განათლების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები და ხდება გამოცდილების განზოგადება.

პედაგოგიური კადრების იდეურ-მეთოდური მომზადების, მოწინავე გამოცდილების **განზოგადება-გავრცელებისა** და უფრო ეფექტური მეთოდების შემუშავების მიზნით ქალაქებსა და რაიონებში შექმნილია საყრდენი სკოლები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პროპაგანდისტები. ასეთებია: ქ. თბილისის 109-ე, 155-ე, თერჯოლის რაიონის 1-ლი, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის, ზნაურის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლები, ქობულეთის რაიონის სოფელ სკურის რვაწლიანი სკოლა და სხვა. აღნიშნული სკოლების მაგალითებზე პროპაგანდისტები ეცნობიან მოწინავე პროპაგანიდსტთა გამოცდილებას, ეუფლებიან თავიანთი გამოცდილების ეფექტიანი ანალიზის ჩვევებს, სწავლობენ პრაქტიკულ მეცადინეობათა ჩატარების მეთოდიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლებში მოეწყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა პოლიტიკური განათლების კაბინეტები, სადაც თავმოყრილია სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა, თვალსაჩინო მასალები, ტარდება მეცადინეობები და კონსულტაციები.

მეცნიერული კომუნიზმის სკოლების პროპაგანდისტთა და მსმენელთა დასახმარებლად გაზეთ „სახალხო განათლებასა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში" სისტემატურად ქვეყნდება მეცნიერული კომუნიზმის სკოლებში შესასწავლი პრობლემატიკისადმი მიძღვნილი მეთოდიკური მასალები, წერილები, აგრეთვე მასალები პედაგოგიური კადრების პოლიტიკური სწავლების მიმდინარეობის, პროპაგანდისტთა გამოცდილების შესახებ.

პედაგოგთა პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის გამოყენებულია თვითგანათლება, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი. აღნიშნული უნივერსიტეტი 1984—1985 წელს 170 განათლების მუშაკმა დაამთავრა, მათ შორის 50-მა — საქართველოს კპ ქ. თბილისის გლდანის რაიკომთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალი. ყურადსაღებია, რომ იმ მუშაკთა რიცხვი, რომლებიც იდეურ-პოლიტიკურ დონეს თვითგანათლებით იმაღლებენ, კლებულობს, მათი მეცნიერული კომუნიზმის სკოლებში ჩაბმის ხარჯზე. მაგალითად, თუ 1983—1984 წელს მათი რიცხვი 2670 მუშაკს შეადგენდა, 1984—1985 სასწავლო წელს 2231 შეადგინა. ეს დადებითი მოვლენაა და იმაზე მიუთითებს, რომ განათლების მუშაკთა უმრავლესობა გაერთიანებულია ორგანიზებულ და სისტემატურ პოლიტიკურ სწავლებაში.

დიდი მუშაობა ჩატარდა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

დაინერგა პროპაგანდისტის დღე, ეწყობა შეხვედრები საუკეთესო პროპაგანდისტებთან, მათთვის საპატიო სიგელებისა და წარჩინების სხვა ნიშნების გადაცემით. ამ მხრივ მისაბაძია საგარეჯოსა და ჩოხატაურის რაიონების გამოცდილება: საგარეჯოში 2 პროპაგანდისტი კარგი მუშაობისათვის დაჯილდოვდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის საპატიო სიგელით, 3 — საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის საპატიო სიგელით, ხოლო ჩოხატაურის რაიონის 3 მასწავლებელი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის სიგელით, სოფელ დაბლაციხის საშუალო სკოლის პროპაგანდისტ ა. დოლიძეს საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის წოდება მიენიჭა, პროპაგანდისტი ლ. დოლიძე კი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სიგელით. სულ რესპუბლიკაში 1984—1985 სასწავლო წელს 3 პროპაგანდისტს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის წოდება, 10-ს სსრ კავშირის სახალხო განათლების წარჩინებულის წო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, ხოლო 7-ს — სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სიგელოთანა სათანადო ყურადღება ექცევა მოწინავე პროპაგანდისტთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას, ახალგაზრდა მასწავლებლების იდეურ, მორალურ და პროფესიულ ჩამოყალიბებას. მათ დასახმარებლად განათლების განყოფილებებთან ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა პედაგოგთა კლუბი (თბილისი, გეგეჭკორი, ხაშური), ეწყობა ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები, შეხვედრები მეცნიერებთან, ვეტერან პედაგოგებთან. პედაგოგები აქტიურად არიან ჩაბმული პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში: მუშაობენ აგიტატორებად, პროპაგანდისტებად, ატარებენ ლექციებს, ხელმძღვანელობენ მშობელთა უნივერსიტეტებს, ეწევიან სათანადო მუშაობას მიკრორაიონში. რესპუბლიკის 7259 მუშაკი პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა, მუშაობს პარტიის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორად, ინფორმატორად და აგიტატორად.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებამ, გამოცდილების ფართო გაზიარებამ, სარეფორმო საკითხების პრაქტიკულ ასპექტში გადაწყვეტის დანერგვამ პედაგოგიური კოლექტივები დარაზმა სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების გადასაჭრელად, ამაღლდა სწავლების ხარისხი, განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა.

მაგრამ მიღწეულ წარმატებებთან ერთად, მეცნიერული კომუნიზმის სკოლების საქმიანობის შესწავლამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი მუშაობა ჯერ კიდევ სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს. ნაკლები ყურადღება ექცევა პირველწყაროების შესწავლას, მეცადინეობები ზოგჯერ გადატვირთულია პროპაგანდისტის ცალმხრივ მონოლოგად, არ იგრძნობა მსმენელთა აქტივობა. ყოველთვის არ ტარდება სასწავლო გეგმებით და პროგრამით რეკომენდებული სემინარული მეცადინეობები.

ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების ძირითადი მეთოდი — თვითგანათლება. მეცადინეობებზე ცოტაა, ზოგან კი საერთოდ არ არის სწავლების ტექნიკური საშუალებები, ყველგან ვერ მოწესრიგდა მეცნიერული კომუნიზმის სკოლებისათვის პროპაგანდისტული კადრების შერჩევის, განაწილებისა და სწავლების მოფიქრებული სისტემა. ზოგიერთ ადგილას სუსტად იყენებენ პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდს, საჭირო სიმაღლეზე არ დგას ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობა, ლექციების ჩასატარებლად არ იწვევენ საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებს, არ არის შემუშავებული მეცნიერული კომუნიზმის სკოლების მუშაობაზე კონ-

ტროლის მეთოდიკა, საუკეთესო პროპაგანდისტთა წახალისების ტემა. სათანადოდ არ ხდება დადებითი გამოცდილების განზოგადება. განათლების განყოფილებები, მათი მეთოდური კაბინეტები ჯერ კიდევ მთლიანად არ არიან ჩაბმული მეცნიერული კომუნიზმის სკოლების ხელმძღვანელებთან მუშაობაში მასწავლებელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საუკეთესო გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და გავრცელებისათვის, პროპაგანდისტთა დღე ჯერ კიდევ არ არის ყველგან გამოყენებული, როგორც პედაგოგიური კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სრულყოფის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა.

პედაგოგიური კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების შემდგომი სრულყოფის, სკკპ ცკ ივნისის (1983 წ.) და აპრილის (1984 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით გადაჭრის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

.1 პედაგოგიური კადრების იდეურ-პოლიტიკურ სწავლებას საფუძვლად დაედოს სკკპ ცკ ივნისის (1983 წ.) და აპრილის (1984 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებანი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, წინასაყრილობო დოკუმენტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებები და გამოსვლები.

2. მსმენელთა ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ მილიონობით საბჭოთა ადამიანის მონაწილეობა მნიშვნელოვანი საპროგრამო დოკუმენტების საერთო-პარტიულ, საყოველთაო-სახალხო განხილვაში ხელს შეუწყობს მთელი ხალხის ნების, ინტერესების, მოთხოვნილებების სრულდ გათვალისწინებას. პროპაგანდისტმა მსმენელებს კონკრეტული ფაქტების მოშველიებით, გასაგებად და დამაჯერებლად უნდა აუხსნას, რომ სკკპ ყოველნაირად ავითარებს დემოკრატიის ისეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს, როგორიცაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ხალხთა კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კანონპროექტების, პრობლემების განხილვა. მსმენელებმა ღრმად უნდა შეიგნონ, რომ ჩვენი ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება მთლიანად დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, საერთო საქმის ბედისათვის თითოეულის პასუხისმგებლობაზე, სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამის უსწრაფეს რეალიზაციაზე, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრის ათვისებაზე, არაშავნიადაგიანი მიწების რაციონალურ გამოყენებაზე, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს გადიდებაზე 1986—1990 და 2000 წლამდე პერიოდისათვის.

3. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ პედაგოგების,

სახალხო განათლების ყველა მუშაკის დაჟინებითი ბრძოლა სკკპ ცენ-ტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუ-მების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე გამართული თათბირის მითითება-თა შესასრულებლად, წინასაყრილობო დოკუმენტების განხილვა, პროპაგანდა და ახსნა-განმარტება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის რეალიზაციის, მისი მუშაობის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც სახალხო განათლე-ბის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას, მეთორ-მეტე ხუთწლედის ორგანიზებულად დაწყებას და სკკპ 27-ე ყრილო-ბის ღირსეულად შეხვედრას განაპირობებს.

4. მეცნიერული კომუნიზმის სკოლებში სკკპ ცენტრალური კო-მიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმის მასალების, წინასაყრი-ლობო დოკუმენტების შესწავლა მასწავლებლებისათვის საბჭოთა კავ-შირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა და დოკუმენტების შემდგომი ღრმა შესწავლა მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობა უნდა გახდეს.

5. სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლებისა და სხვა სას-წავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექ-ტივებმა, პედაგოგიური კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლე-ბის საბჭოებმა, პროპაგანდისტთა რაიონული და საქალაქო სექციების ხელმძღვანელებმა:

— განამტკიცონ თეორიული სწავლის კავშირი სკოლის წინაშე მდგარი აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-აღმ-ზრდელობითი ამოცანების გადაჭრასთან, უფრო სრულად გააშუქონ სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი კა-ნონზომიერებანი და მამოძრავებელი ძალები, მათი უპირატესობა კა-პიტალიზმთან შედარებით, დამაჯერებლად და არგუმენტირებულად ამხილონ სკკპ თეორიისა და პოლიტიკის რეალური სოციალიზმის მიღ-წევების ყოველგვარი ფალსიფიკატორები.

— გულმოდგინედ სრულყონ მეცნიერული კომუნიზმის სკოლე-ბის მუშაობის გამოცდილება, აამაღლონ მსმენელთა მეთოდოლოგიურ-რი მომზადების დონე, დაეხმარონ მათ პოლიტიკური და სამეცნიერო ინფორმაციის ნაკადში დამოუკიდებელ ორიენტაციაში, ჩამოუყალიბონ მყარი ინტერესი პარტიის თეორიისა და პოლიტიკის შესწავლაში, გა-ნუვითარონ პოლიტიკურ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

— ფართოდ ისარგებლონ მეცადინეობებზე ბგერითი, ეკრანული და ბეჭდვითი თვალსაჩინოებით. ამ მიზნით გამოიყენონ სკოლების, რაიონებისა და პარტიული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტების, ადგილობრივი საინფორმაციო-საცნობარო ცენტრების სასწავლო-მატერიალური ბაზა.

— ძირეულად გააუმჯობესონ პროპაგანდისტული კადრების შერჩევის, განაწილების, სწავლებისა და ინფორმირების საქმიანობა. დაბეჯითებითი აღზრდით პროპაგანდისტებში გააღრმაონ პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული საქმისადმი, რათა მათში განვითარდეს შემოქმედებითი ინიციატივა ცოდნის მაღალი ხარისხისა და შედეგიანობისათვის ბრძოლაში, შეურიგებლობა ფორმალიზმის, შაბლონისა და სხვა ნაკლოვანებებისადმი.

— მოაწყონ პროპაგანდისტთა სემინარები, ლექციები, საუბრები და კონსულტაციები, ილუსტრირებული გამოფენები, მოამზადონ ადგილობრივი ანალიტიკური მასალა, მეცადინეობების ჩატარებაში ფართოდ ჩააბან პარტიულ-სამეურნეო აქტივი, მეცნიერები, სახალხო განათლების გამოცდილი მუშაკები, ვეტერანები.

— აამაღლონ საყრდენი სკოლების როლი, გააუმჯობესონ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრაქტიკაში დანერგონ ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტებისათვის სემინარებისა და თათბირების ჩატარება.

6. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებს სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მეცნიერული კომუნიზმის სკოლების პროპაგანდისტთა და მსმენელთა დასახმარებლად, აგრეთვე წერილები ამ სკოლების მუშაობის გამოცდილებიდან.

7. კონტროლი მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული პედაგოგიური კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების საბჭოს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიების, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმებისა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიის 1985 წლის 28 ნოემბრის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციის რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილების „საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბავშვთა სკოლაში სწავლისათვის უკეთ მომზადების შესახებ“ შესაბამისად სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების მიზნით სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით წამოყენებულ ამოცანათა შესასრულებლად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმებმა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საკავშირო დათვალიერების შესაბამისად 1986 წლის 1 იანვრიდან 1988 წლის 1 სექტემბრამდე ჩატარდეს რესპუბლიკური დათვალიერება „სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციის შესახებ“.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკური დათვალიერების დებულება (თან ერთვის).

3. დამტკიცდეს რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (თან ერთვის).

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საფინანსო სამმართველოს, განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების საფინანსო განყოფილებებს 1988 წლის დაფინანსების პროექტში გაითვალისწინონ სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციის შესახებ დათვალიერებისათვის საჭირო თანხების გამოყოფა.

5. განათლების სამინისტროს სტამბამ (ამხ. ა. ბაკურაძე) ორი კვირის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული გადაწყვეტილების (დებულებითურთ) დასტამბვა (ტირაჟი 2,0 ათ.), ხოლო სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) უზრუნველყოს მისი ადგილებზე დაგზავნა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ჭინჭლაძე

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მგელაძე

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ი. მენაღარიშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე რ. ურჯუმელაშვილი

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკ-პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გოგოძე

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილე ვ. გოგოლაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დამტკიცებულია“
1985 წლის 28 ნოემბრის ერთობლივი
გადაწყვეტილებით

სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციის რესპუბლიკური დათვალიერების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რესპუბლიკური დათვალიერება სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციის შესახებ საკავშირო დათვალიერების შესაბამისად ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიების, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმებისა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით.

დათვალიერების მონაწილენი და ძირითადი ამოცანები

დათვალიერებაში მონაწილეობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სოფელ ადგილებში განლაგებული ყველა სისტემის სკოლამდელ დაწესებულებათა კოლექტივები.

დათვალიერების ამოცანას წარმოადგენს სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის შემდგომი სრულყოფა.

დათვალიერების შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მაჩვენებლები

1. ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის პირობები.

— სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდით უზრუნველყოფა მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამისად;

— სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის ზრდა დათვალიერების პერიოდში;

— სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმის შესრულება;

— სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის სწორი განლაგება, ბავშვების გადაყვანის ორგანიზაცია;

— სკოლამდელ დაწესებულებათა (მუდმივი და სეზონური) მატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. საბავშვო ბაგის, საბავშვო ბაღის, ბაგა-ბაღის შენობის მდგომარეობა და მისი პროექტთან, სანიტარიულ ნორმებთან შესაბამისობა. ავეჯით, ჭურჭლით, რბილი ინვენტარით, ფიზკულტურული და სამედიცინო მოწყობილობით უზრუნველყოფა;

— მიწის ნაკვეთის გამწვანება და კეთილმოწყობა, სათამაშო და სპორტული მოედნებით უზრუნველყოფა, ჰაერზე ძილისა და მეცადინეობისათვის პირობების შექმნა. ბავშვთა შრომითი აღზრდის ორგანიზაცია (ბოსტნის, ყვავილნარის, სელით შრომისათვის კუთხეების მოწყობა).

2. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პირობები.

— სკოლამდელ დაწესებულებათა უზრუნველყოფა თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალით, სათამაშოებით, მეთოდური და საბავშვო ლიტერატურით, ტექნიკური საშუალებებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით;

— საბავშვო ბაღის აღზრდის პროგრამის ხარისხიანი შესრულება. სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენება ბავშვთა გონებრივი, ზნეობრივი შრომითი და ესთეტიკური აღზრდის სრულყოფის მიზნით.

3. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა.

— სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვა.

— ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაკაჟებისა და დაავადებათა შემცირებისათვის გატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები და შედეგები;

— ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სრულყოფა, მათი დაინტერესება ფიზკულტურული მეცადინეობებით და აუცილებელი მოძრაობითი რეჟიმით უზრუნველყოფა;

— ბავშვთა კვების სწორი ორგანიზაცია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილებით დამტკიცებული ახალი ნორმების შესაბამისად. სკოლამდელ დაწესებულებათა უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებით.

4. კადრებთან მუშაობა.

— სკოლამდელ დაწესებულებათა კვალიფიციური პედაგოგიური და სამედიცინო პერსონალით უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები.

— კადრის შერჩევა, დანიშვნა, აღზრდა. ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობა, კვალიფიკაციის ამაღლება.

— თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების მდგომარეობა სკოლამდელ დაწესებულებაში, კულტურა, ზნეობრივი კლიმატი, შემოქმედებითი შრომის ატმოსფეროს შექმნა. ბავშვებისადმი მზრუნველი, ფრთხილი დამოკიდებულება.

— მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება, გავრცელება, დანერგვა.

— კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელების ზრუნვა პედაგოგიური პერსონალისათვის ცხოვრებისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნისათვის, კანონით დადგენილი შეღავათების გავრცელება, მორალური და მატერიალური წახალისების სისტემა.

5. სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე პედაგოგიური და სამედიცინო ცოდნის პროპაგანდა მშობლებსა და საზოგადოებრიობას შორის, ოჯახებთან კავშირი, ოჯახური აღზრდის საუკეთესო გამოცდილების გამოვლენა და გავრცელება.

რესპუბლიკური დათვალიერების ხელმძღვანელობა

რესპუბლიკური დათვალიერების ხელმძღვანელობას ახორციელებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ადგილებზე იქმნება სარაიონო საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაში შედიან განათლების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, პროფკავშირების წარმომადგენლები.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი

1. ანხორციელებს დათვალიერების ხელმძღვანელობას და აწესებს კონტროლს მის მიმდინარეობაზე. სხდომებზე განიხილავს დათვალიერების მიმდინარეობის საკითხებს, ისმენს ანგარიშებს ადგილებიდან.

2. აჯამებს დათვალიერების შედეგებს და გამარჯვებულთა წახალისების შესახებ წინადადება განსახილველად შეაქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიებსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმებსა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიაზე.

დათვალიერების რაიონული კომიტეტები

1. დებულების შესაბამისად შეიმუშავებენ სარაიონო დათვალიერების პირობებს და ორგანიზაციას უკეთებენ მათ შესრულებას.

2. ახორციელებენ მეთოდურ-ორგანიზაციულ დახმარებას ეროვნული ბიბლიოთეკა ლამდელი დაწესებულებებისადმი და ზრუნავენ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

3. ანზოგადებენ და ავრცელებენ მოწინავე სკოლამდელი დაწესებულების გამოცდილებას.

4. ორგანიზაციას უკეთებენ დათვალიერების მიმდინარეობის ფართოდ გაშუქებას.

5. აჯამებენ საარაონო დათვალიერების შედეგებს და ანგარიშს, სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის ზუსტი დახასიათებით, უდგენენ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 1988 წლის 1 სექტემბრამდე, ხოლო რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი საკავშირო ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტს უდგენს 1988 წლის 25 სექტემბრისათვის.

რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულთა წახალისება

იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სკოლამდელ დაწესებულებათა კოლექტივების წასახალისებლად, რომლებმაც დათვალიერებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს, წესდება დიპლომები ფულადი პრემიებით:

ა) 3 პირველი ხარისხის დიპლომი, თითოეული 300 მანეთის ოდენობით;

ბ) 5 მეორე ხარისხის დიპლომი, თითოეული 200 მანეთის ოდენობით;

გ) 10 მესამე ხარისხის დიპლომი, თითოეული 100 მანეთის ოდენობით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სკოლამდელი დაწესებულებების, დამთვალიერებელი კომისიების, ქალთა საბჭოს წარმომადგენლებისა და სხვა მუშაკების წასახალისებლად, რომლებმაც აქტიურად შეუწყვეს ხელი დათვალიერების მაღალ დონეზე ჩატარებას, დაწესდა 35 ქების სიგელი ფულადი პრემიით:

ა) 15 პრემია, თითოეული 50 მანეთის ოდენობით;

ბ) 20 პრემია, თითოეული 30 მანეთის ოდენობით.

დათვალიერების ჩატარების ხარჯები 5000 მან. გაწეული უნდა იქნას შემდეგი ანგარიშით:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო 1500 მან.;

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი 1500 მან.;

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი 1000 მან.;

სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი 1000 მან.

აღნიშნული თანხა თავს იყრის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში.

სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი უზრუნველყოფს დიპლომებისა და ქების სიგელების ნიმუშების შექმნასა და დაბეჭდვას.

საკავშირო ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დათვალიერებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დაწესებულია 30 დიპლომი ფულადი პრემიებით:

5 დიპლომი პირველი ხარისხის; 10 დიპლომი მეორე ხარისხის; 15 დიპლომი მესამე ხარისხის და 70 ქების სიგელი ფულადი პრემიებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დამტკიცებულია"
1985 წლის 28 ნოემბრის ერთობლივი
გადაწყვეტილებით

რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. კობახიძე მანანა კალისტრატეს ასული — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე

2. კაკულია რევაზ შალვას ძე — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. გერზმავა ოთარ ხარიტონის ძე — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე

4. წილოსანი ავთანდილ სერგოს ძე — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

5. აბდუშელიშვილი გუგული კონსტანტინეს ასული — საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს უფროსი

6. სულავა-ნარჩემაშვილი ელენე ალექსანდრეს ასული — საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს ინსპექტორი

7. ემხვარი გივი მუშნის ძე — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შრომის, ხელფასისა და სოციალური საკითხების სამმართველოს უფროსი

8. ჯანელიძე ეთერ ვარლამის ასული — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი

9. მურუსიძე ლამარა შალვას ასული—საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

10. ვალიშვილი შოთა ვასილის ძე — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ცეკავშირის სასურსათო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. კაკაურიძე ნათელა გრიგოლის ასული — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორი

12. კობერიძე მზია აკაკის ასული — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" კულტურის განყოფილების გამგე

13. კერესელიძე ომარ ლავრენტის ძე — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი

14. ლომიტაშვილი ილია ზაქარიას ძე — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საფინანსო სამმართველოს უფროსი

15. თოდუა მანანა ვარლამის ასული — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ-მეთოდისტი

16. ჯახიძე ნანული ვარლამის ასული — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შრომის, ხელფასისა და სოციალური საკითხების სამმართველოს უფროსი ეკონომისტი

17. ჟორჟოლაძე არჩილ სამსონის ძე — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობისა და ხელფასის განყოფილების გამგე

18. გუსარიშვილი ვალერიან ლევანის ძე — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კულტმასიური მუშაობის განყოფილების გამგე

19. კედია გულისა იონას ასული — საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საფინანსო სამმართველოს უფროსი ეკონომისტი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 28 ნოემბრის

დადგენილება

ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი 27-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ შედეგებისა და 28-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1985 წლის მაისში ჩატარებულმა 27-ე რესპუბლიკურმა კონკურსმა „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავს მიეძღვნა, ხელი შეუწყო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე ტექნიკური წრეების საქმიანობის გაუმჯობესებას. კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში მოსწავლეთა მიერ დამზადებული მრავალი ხელსაწყოს, მოქმედი მოდელისა და აპარატის დიდი ნაწილი გამოყენებულია სკოლებში, როგორც დიდაქტიკური მასალა.

ადგილებზე მოწყობილ სასკოლო, სარაიონო, საქალაქო და საოლქო გამოფენებიდან საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი იყო 400-მდე სხვადასხვა სახის თვალსაჩინო ხელსაწყო და დიდაქტიკური მასალა. რესპუბლიკური შემაჯამებელი გამოფენისათვის შეირჩა 271 ექსპონატი.

შემაჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი ნაკეთობების ანალიზმა ცხადყო ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკისადმი ინტერესი.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატებიდან ყველას მოწონება დაიმსახურა თბილისის 83-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის პანფიდინის მიერ საქარხნო რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში დამზადებულმა გემის „ავროორა“ მოქმედმა მოდელმა (ხელმძღვანელი რ. აივაზოვი)); ბათუმის აკ. წერეთლის სახ. 22-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ლ. შენგელიას მიერ დამზადებულმა ხელ-

საწყომ „კრისტალური ნივთიერების დნობისა და გამყარების გრაფიკი“ (ხელმძღვანელი ს. ჩაუშბა); ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლის დ. ბოლქვაძის მიერ დამზადებულმა ხელსაწყომ „ცოდნა“ (ხელმძღვანელი ვ. აბულაძე); წულუკიძის რაიონის სოფელ წითელვარსკვლავის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ზ. უგულავას მიერ დამზადებულმა სატელეგრაფო სიგნალების გენერატორმა (ხელმძღვანელი ა. კვანტალიანი); ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის დ. ჩაფიძის ხელსაწყომ „მაძიებელი—83“ (ხელმძღვანელი მ. ქარქაშაძე); ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის ა. დიდბარიძის გაზის გაჟონვის სიგნალიზატორმა (ხელმძღვანელი ჯ. კრავიშვილი); ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეების ა. ცხოვრებოვისა და ვ. გოლოვანოვის ერთობლივმა ნამუშევარმა — ელექტრონული აალების ბლოკის გამოსაცდელი სტენდი (ხელმძღვანელი რ. ცხოვრებოვი); თელავის მე-7 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის გ. მაისურაძის მიერ ხისაგან დამზადებულმა ორნამენტმა, თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის რვაწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეების გ. ყარაულაშვილისა და დ. მარგალიტაშვილის მიერ ხისაგან დამზადებულმა ტახტმა (ხელმძღვანელი გ. საფაროვი); თბილისის 147-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის გ. ლიქოკელისა და 116-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლის დ. პირკულოვის მიერ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში დამზადებულმა ორიგინალური კონსტრუქციის სახანძრო მანქანის მოდელმა (ხელმძღვანელი ნ. ინჯია) და სხვა.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალებიდან ჟიურის მიერ შერჩეულია და გამზადებულია სრულიად საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა“ პავილიონში გამოსაფენად 51 მოსწავლის 30 ექსპონატი.

აღსანიშნავია, რომ 27-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ შემაჯამებელი გამოფენის მოწყობის პერიოდში ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩატარებამ გააქტიურა და მასობრივი გახადა გამოფენის დათვალიერება. რესპუბლიკური გამოფენა დაათვალიერა პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მრავალმა წარმომადგენელმა, მოსწავლეებმა და ქ. თბილისში იმ პერიოდში ჩამოსულმა სტუმრებმა.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებისა, 27-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ ნატარეიის საქმეში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე ნაკეთობანი, ძირითადად,

ქალაქებიდან და რაიონების ცენტრებიდან, სკოლისგარეშე დაწესებულებების მიერ იყო წარმოდგენილი. კონკურსში ნაკლებად იყვნენ ჩაბმულნი როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლების წრეები და ცალკეული მოსწავლეები.

ზოგი რაიონიდან წარმოდგენილი იყო ექსპონატების ძალზე მცირე რაოდენობა. მაგალითად, რესპუბლიკურ გამოფენაზე სიღნაღიდან წარმოდგენილი იყო მხოლოდ 1 ექსპონატი, წულუკიძიდან — 1, ხოლო ასპინძიდან რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოადგინეს 4 ექსპონატი, რომლებიც უვარგისობის გამო უკან დაუბრუნდათ და ა. შ.

კონკურსის ჩატარების მთლიანმა ანალიზმა ისიც დაადასტურა, რომ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ტექნიკური წრეების საქმიანობაში არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება, მათი ცოდნის დონე.

მიუხედავად მრავალგზის შეხსენებისა, რიგმა განათლების განყოფილებებმა არ წარმოადგინეს მოხსენებითი ბარათები კონკურსის ირგვლივ ჩატარებული მუშაობის შესახებ, რის გამოც დღემდე გაურკვეველი მდგომარეობაა, თუ რა არის გაკეთებული ამ მხრივ ქ. ქ. გორში, ზუგდიდში, სამტრედიაში, აგრეთვე ახმეტის, ბოგდანოვკის, ვანის, გურჯაანის, ზესტაფონის, კასპის, ლანჩხუთის, მახარაძის, მცხეთის, სიღნაღის, ხობის, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებში.

კონკურსის ჩატარების ნაკლად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ სკოლისგარეშე დაწესებულებები და რესპუბლიკის სკოლებთან არსებული ტექნიკური წრეები კვლავ განიცდიან სხვადასხვა თვითნაკეთობათა დამზადებისათვის საჭირო მასალების მწვავე ნაკლებობას. დღემდე გადაწყვეტილი არ არის მასალების გადარიცხვის წესით შეძენის საკითხი. მაღაზია „ნორჩი ტექნიკოსი", რომლის დანიშნულებაა ტექნიკური წრეებისათვის იქონიოს მასალების საჭირო ასორტიმენტი, არანაღდი ანგარიშით ვაჭრობას არ აწარმოებს.

ტექნიკური წრეების მუშაობის ხელშემშლელი პირობაა ისიც, რომ წრეებს თვითნაკეთობათა დამზადებისათვის ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკმაო რაოდენობით ქართულ ენაზე გამოცემული მეთოდური მასალა ან სახელმძღვანელო, თუმცა მისი გამოცემის აუცილებლობის საკითხი რამდენჯერმე იქნა დასმული.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. 27-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!" საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი

სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, ტექნიკური წრეების, ცალკეული ნორჩი ტექნიკოსებისა და ხელმძღვანელების დაჯილდოების შესახებ, დამტკიცდეს (დანართი 1, 2, 3).

2. 28-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ ჩატარებისა და ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი 4).

3. საორგანიზაციო კომიტეტმა კონკურსის ჩატარებისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულებითა და სანიმუშო თემატიკით (თან ერთვის).

4. 28-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს კონკურსის ჩატარებას, პერიოდულად განიხილოს კონკურსის მიმდინარეობის საკითხები და მასალები წარუდგინოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს.

5. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. ლ. ჯაში):

ა) დროულად ჩაატაროს კონკურსისათვის მოსამზადებელი სამუშაო და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს რაიონები და ქალაქები კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო მასალებით: მეთოდური მითითებებით, დებულებებით, აფიშა-პლაკატებით, სანიმუშო თემატიკითა და საკონსულტაციო მასალებით;

ბ) კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში დახმარება და კონსულტაცია გაუწიოს ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებსა და ცალკეული საგნების მასწავლებლებს;

გ) ადგილზე დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ რაიონებსა და ქალაქებში მიავლინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუშაკები და სპეციალისტები;

დ) ტექნიკური წრეებისათვის დახმარების გაწევის მიზნით ნორჩ ტექნიკოსთა წრეების სახეობათა შესაბამისად, პერიოდულად მოამზადოს და 1985—1986 სასწავლო წლისათვის ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცეს თვითნაკეთ ხელსაწყოთა აღწერილობები და ნახაზები.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, საქართველოს სსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა:

ა) მოსწავლე ახალგაზრდობასთან შემდგომ მუშაობაში იხელმძღვანელონ სასკოლო რეფორმის ძირითადი მიმართულებებით, დანერგონ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ახალი ფორმები და მეთოდები ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების გაუმჯობესებისათვის;

ბ) სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებს, სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორებს, უფროს პიონერხელმძღვანელებს და სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს გააცნონ აღნიშნული დადგენილება და უზრუნველყონ კონკურსში პიონერ-მოსწავლეთა ჩაბმა და აქტიური მონაწილეობა;

გ) ადგილებზე შექმნან კონკურსის — „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!" ხელშემწყობი კომისიები; როგორც წესი, ყველა საშუალო სკოლასთან ჩამოაყალიბონ ნორჩ ტექნიკოსთა წრეები და შეუქმნან მათ პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის;

დ) სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარების მიზნით მიიღონ ქმედითი ზომები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გასაცნობად;

ე) ფართოდ მიიზიდონ და ჩააბან საწრეო მუშაობაში სამეცნიერო-ტექნიკური და რაციონალიზატორ-გამომგონებელთა საზოგადოების წამყვანი სპეციალისტები წარმოების ნოვატორები;

ვ) იზრუნონ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

7. 28-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!"—საქალაქო, რაიონული და საოლქო გამოფენები მოეწყოს 1986 წლის 15 აპრილამდე, ხოლო რესპუბლიკური შემაჯამებელი გამოფენა 1986 წლის 15 მაისს ქ. თბილისში, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე.

8. ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევრების შემაჯამებელ გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების, მეთოდური მასალებისა და მასობრივი მუშაობის ამსახველი სხვა მასალების შესარჩევად და მათ ავტორთა დასაჯილდოებლად, აგრეთვე ექსპონატების ქ. მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა" პავილიონში გასაგზავნად, 28-ე რესპუბლიკური კონკურსის რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა გამოყოს სპეციალისტებისა და ავტორიტეტული პირებისაგან შემდგარი ჟიური.

9. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების, ნორჩ

ტექნიკოსთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ადგურების დირექტორებმა ფართოდ გაშალონ კონკურსისათვის მოსამზადებელი მუშაობა და ტექნიკური წრეების საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ რესპუბლიკური კონკურსის ამოცანებს.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი):

ა) კონკურსის ჩატარებისა და თვითნაკეთობათა აღწერილობების ბეჭდვის საჭიროებისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს გამოუყოს 1500 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი;

ბ) უზრუნველყოს სკოლისგარეშე დაწესებულებები ჩარხ-დანადგარებით, ხელსაწყო-იარღებითა და წრეების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო მასალებით.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. თ. ქევხიშვილი) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ეზოში სპორტის ტექნიკურ სახეობათა შეჯიბრებისათვის მთლიანი კომპლექსის—აქვატორიუმის, კორდოდრომისა და ავტომოდელოდრომის აგება.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1986 წლის ბიუჯეტში რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების, მისი შემაჯამებელი გამოფენის მოწყობის, საკავშირო გამოფენაში მონაწილეობისათვის საჭირო თანხა.

13. გაზეთების „ნორჩი ლენინელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“, რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობა.

14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. ა. ალავერდაშვილი) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. ხაჩიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინჭლაძე**

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
მ. პოლიაკოვი

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ი. გაბუნია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებებისა და წრეების სია, რომლებიც 27-ე რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები— სამშობლოს! აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ

I ხარისხის სიგელით:

1. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური
2. სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური
3. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგური
4. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგური
5. ტყიბულის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური
6. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგური
7. თელავის პიონერთა სახლი
8. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის პიონერთა სახლის კოსმოსური მოდელირების წრე
9. თბილისის 91-ე საშუალო სკოლის კოსმოსური მოდელირების წრე

II ხარისხის სიგელით:

1. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ქიმიის წრე
2. თბილისის 45-ე საშუალო სკოლის წრე
3. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომატიკის წრე

ს ი გ ე ლ ი თ:

1. ქუთაისის პიონერთა სასახლის ტექნიკური მოდელირების წრე
2. თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომოდელისტთა წრე
3. თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ჭედურობის წრე
4. ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის წრე
5. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურის საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე
6. ქუთაისის პიონერთა სასახლის ტექნიკური მოდელირების წრე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

27-ე რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ მონაწილე მოსწავლეების სია, რომლებიც დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ

პირველი პრემიით (პირველი ხარისხის სიგელითა და 15 მანეთის ღირებულების საჩუქრით):

1. ლიქოკელი გიგია — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
2. პირკულოვი დიმიტრი — თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
3. უგულავა ზაზა — წულუკიძის რაიონის სოფელ წითელვარსკვლავის რვაწლიანი სკოლა, მე-8 კლასი
4. დიდბარიძე ამირანი — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
5. ცხოვრებოვი ალანი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
6. გოლოვანოვი ვიტალი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
7. გრებენნიკოვი მიხეილი — თბილისის 162-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
8. მაისურაძე გელა — თელავის მე-7 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
9. შალიკაშვილი მალხაზი — თელავის მე-5 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
10. ყარაულაშვილი გოგიტა — თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის რვაწლიანი სკოლა, მე-7 კლასი

მეორე პრემიით (მეორე ხარისხის სიგელითა და 10 მანეთის ღირებულების საჩუქრით):

1. ლაზარიაშვილი ავთანდილი — თელავის მე-5 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
2. ლაზარიაშვილი ვახტანგი — თელავის მე-5 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
3. პანაფიდინი ალექსანდრე — თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
4. მარგალიტაშვილი დავითი — თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის რვაწლიანი სკოლა, მე-7 კლასი
5. კრასნობაი სერგო — თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

7. მორჩაძე ზურაბი — ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
8. ჟორჟოლიანი გიგა — ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
9. გორგაძე თინათინ — ქუთაისის 35-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
10. აბესაძე გოჩა — ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
11. ფორჩხიძე ალექსანდრე — ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
12. პლიევი ალანი — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
13. ხიზანიშვილი ნიკო — ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
14. დავითიანი მურადი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
15. ბერეკაშვილი კახა — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი, მე-9 კლასი
16. ფრუიძე მინდია — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი მე-9 კლასი
17. ცხვედიანი ელგუჯა — ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
18. კუპრაშვილი გიორგი — ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
19. შენგელია ლია — ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
20. ბოლქვაძე დავითი — ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

მესამე პრემიით (III ხარისხის სიგელითა და 5 მანეთის ღირებულების საჩუქრით):

1. გამბორინი ალექსანდრე — თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
2. გოგუაძე მამუკა — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
3. ოქრომჭედლიშვილი ზაზა — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
4. გეგეჭკორი ირაკლი — ბათუმის მე-11 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
5. დუნდუკოვი ვიაჩესლავი — ბათუმის მე-11 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
6. ინასარიძე ნანა — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
7. ნიჟარაძე დოდო — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ჯინჭარაძე ემზარი — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

9. გუსაროვი იგორი — ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

10. ჯინჭველაშვილი სერგო — ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

11. ხაჩატურიანი არმენი — ბათუმის მე-11 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

12. მეტაქსა ნიკოლოზი — ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

13. შალამბერიძე გოჩა — ბათუმის მე-13 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

14. პეტრაშოვი იგორი — ბათუმის მე-18 საშუალო სკოლა მე-6 კლასი

15. ჩიტაიშვილი დავითი — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

16. თურმანიძე რაული — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

17. ბერზიუკი ვიტალი — ფოთის მე-8 საშუალო სკოლა, მე-4 კლასი

18. დევიძე დევი — ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

19. შავლაყაძე დათო — ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

20. არბოლიშვილი მირანდა — ქუთაისის მე-14 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

21. ვარსემაშვილი გია — თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

22. გუკაევი თემური — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

23. ქელეხსაევი გიორგი — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

24. ცერცვაძე გიორგი — ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

25. ზვიადაძე ვანო — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი, მე-9 კლასი

26. ჭელია ლევანი — ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

27. ცქიფურიშვილი გია — ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

28. კოდოევი სოსლანი — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

29. ალბოროვი გემისი — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, ეროვნული ბიბლიოთეკა
კლასი
30. მამედოვი შამილი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

ს ი გ ე ლ ი თ:

1. პოპონდოპულო გიორგი — ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
2. კულუმბეგოვი მურადი — ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
3. ცარაპკინი ოლეგი — გაგრის მე-4 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
4. თარბა იური — გაგრის მე-4 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
5. შენგელია კახაბერი—ფოთის მე-5 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
6. ჩობანოვი გრიგოლი — ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
7. ივანოვი იური — ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
8. ჭანჭალეიშვილი აკაკი — თბილისის 61-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
9. ფროლოვი ალექსანდრე — თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
10. გორელაშვილი დავითი — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
11. შაყულაშვილი გიორგი — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
12. ჯალიაშვილი თამაზი — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
13. სინაურიძე ვასილი — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
14. კაკაბაძე მაია — თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
15. მჟავია მარინე — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
16. ჩემია ნინო — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
17. სალუქვაძე ნინო — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
18. ჯალაღონია ქეთევანი — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
19. შენგელია ედუარდი — ფოთის მე-7 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
20. კუსრაევა ირა — ცხინვალის მე-12 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
21. ალბოროვა ალა — ცხინვალის მე-12 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
22. სირაძე თემური — ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

23. გულიევი ჯემალი — ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
24. კრავჩენკო ანდრო — ბათუმის მე-10 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
25. გუნდაძე სულიკო — ხულოს რაიონის სოფელ თხილვანის საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
26. ძნელაძე დავითი—ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, მე-9 კლასი
27. დარჩია ოთარი — ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
28. ადამია თენგიზი — ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
29. ბაზალი ანატოლი — ბათუმის მე-18 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
30. გრიგორიანი გრიგოლი—ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
31. პარასკევოპულო ნიკოლოზი — ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
32. კიღურაძე ვამეხი — ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი
33. კორონენკო ალექსანდრე — ჭიათურის მე-10 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
34. ცერცვაძე ოთარი — ჭიათურის 1-ლი საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
35. პაპიანი სერგო — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
36. გოგელაშვილი რაჟდენი — ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
37. გაბრიაძე გია — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
38. კუბლაშვილი ნიკოლოზი — ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
39. გამეზარდაშვილი ოლეგი — ტყიბულის მე-3 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
40. მურატოვი ალექსანდრე — ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი
41. თიბილოვი ათანასი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი
42. თედეევი კონსტანტინე — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
43. სლანოვი ალანი — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი
44. ტურაშვილი გოჩა — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

45. მამედოვი იბრაგიმი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

46. პანტელეევი სერგო — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

47. თორაძე გიორგი — თბილისის მე-7 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

48. შარაშიძე ფრიდონი — თბილისის მე-7 საშუალო სკოლა. მე-10 კლასი

49. დევაძე გია — ბათუმის მე-13 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

50. რუხაძე მაია — ბათუმის მე-13 საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

51. მურვანიძე თეა — ბათუმის მე-13 საშუალო სკოლა, მე-5 კლასი

52. შოთიდი ალექსანდრე — ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

53. ჩიტაიშვილი დავითი — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

54. თურმანიძე რაული — ბათუმის მე-2 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

55. გრიგალაშვილი ლადო — ბათუმის მე-16 საშუალო სკოლა, მე-5 კლასი

56. პოღოსიანი კაბარი — ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

57. ოვანესიანი არტური — ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა, მე-8 კლასი

58. ქოქოლაძე ნუგზარი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

59. აბაშიძე შამილი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

60. ხინკალაძე ბადრი — ხელვაჩაურის რაიონის საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

61. მახარაძე მალხაზი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფაჩხის საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

62. სურმანიძე მარინა — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფაჩხის საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

63. ხოზრევანიძე თაიგული — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფაჩხის საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

64. ბოლქვაძე გოჩა — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფაჩხის საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

65. ბოლქვაძე ხვიჩა — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ფაჩხის საშუალო სკოლა, მე-6 კლასი

66. ჩაფიძე დავითი — ჭიათურის მე-4 საშუალო სკოლა, მე-9 კლასი

67. რუბანოვი სერგო — ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

68. ოყრეშიძე გიორგი — ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

69. იოსებაშვილი ბესიკი — თბილისის 108-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

70. მესტვირიშვილი ალექსანდრე — თბილისის 43-ე საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

71. სტარი დიმიტრი — თბილისის 71-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

72. ცხოვრებოვი არშევანი — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

73. სურმავა ზურაბი — თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, მე-10 კლასი

74. სანოძე მირზა — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა, მე-7 კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების იმ მუშაკთა სია, რომლებიც 27-ე რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ

ს ი გ ე ლ ე ბ ი თ:

1. შერვაშიძე კარლო — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი
2. ბაგაევი გავრილი — სამხრეთ ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის დირექტორი
3. გოთოშია ალბერტი — თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი
4. ლექვინაძე სიმონი — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი
5. ქაჯაია ჯიმშერი — ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი
6. კაკუშაძე დავითი — ტყიბულის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორი
7. ვარდიაშვილი ციალა — თელავის პიონერთა სახლის დირექტორი
8. ჭოჭუა თინათინი — ფოთის 1-ლი საშუალო სკოლის ქიმიის წრის ხელმძღვანელი
9. საყვარელიძე ვალენტინი—თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა სახლის კოსმოსური მოდელირების წრის ხელმძღვანელი
10. მოვსესოვი ბორისი — თბილისის 91-ე საშუალო სკოლის კოსმოსური მოდელირების წრის ხელმძღვანელი
11. საფაროვი გრიგოლი — თელავის პიონერთა სახლის ხის მხატვრული დამუშავების წრის ხელმძღვანელი
12. გაბუნია ეთერი — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ქიმიის წრის ხელმძღვანელი
13. ნესტეროვი ნიკოლოზი — თბილისის 46-ე საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
14. ფრუიძე ვაჟა — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომატიკის წრის ხელმძღვანელი
15. ბაშალეიშვილი ვაჟა — ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ტექნიკური მოდელირების წრის ხელმძღვანელი
16. ზურაბიშვილი ზურაბი — თბილისის ლენინის რაიონის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ავტომოდელისტთა წრის ხელმძღვანელი
17. ჩეკურიშვილი ბიჭიკო — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის ჭედურობის წრის ხელმძღვანელი

18. ლომაძე გივი — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურის ქართული საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრის ხელმძღვანელი

19. ცხოვრებოვი რუსლანი — აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის კიბერნეტიკის წრის ხელმძღვანელი

დანართი 4

28-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ საორგანიზაციო კომიტეტი

1. დარჩია მამია — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

2. ხაჩიძე მანონი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. პოლიაკოვი მიხეილი—სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

4. გაბუნია იოსები — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

5. ჯაში ლევანი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

6. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

7. ალავერდაშვილი ანა — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

8. ჯავახიშვილი ალექსანდრე — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

9. თევდორაძე ირინა — საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი

10. ჟღენტი თემური — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

11. კობახიძე გრიგოლი—თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი

12. ხარლამოვი იური — საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე

13. ცერცვაძე ივანე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი

14. მარტიროსოვი ლევანი — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი

15. გოთოშია ალბერტი — თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — ქართულ ენაში არაქართული სკოლების მოსწავლეთა მე-2 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-3 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ 3

გადაწყვეტილება — გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვლიერების ჩატარების შესახებ 11

Решение — О снабжении продуктами питания детских домов и школ-интернатов республики и мерах по дальнейшему его улучшению . 17

გადაწყვეტილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზაციის სრულყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმის შესახებ 20

გადაწყვეტილება — სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში საგამომგონებლო, რაციონალიზატორული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 24

ბრძანება № 675 — ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მეთოდკაბინეტის გამგის ვ. კუპრავას არაპედაგოგიური მოქმედების შესახებ 27

ბრძანება № 678 — ლენტეხისა და ცაგერის რაიონების სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში, თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა და სახალხო განათლების დარგის სხვა მუშაკთა სამუშაოზე დანიშვნის მდგომარეობის შესახებ . . 28

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების დებულების შესახებ 32

ინსტრუქციული წერილი № ფ-2-3219/8 — სასკოლო დოკუმენტებში ფვლილებების შესახებ 53

Инструктивное письмо № Ф-2-3219/8 — Об изменениях в школьной документации 54

გადაწყვეტილება — მეცნიერული კომუნიზმის სკოლების 1984—1985 სასწავლო წლის მუშაობის შედეგებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ 55

გადაწყვეტილება — სოფლად საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო ორგანიზაციის რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ 62

დადგენილება — ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი 27-ე რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ შედეგებისა და 28-ე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ 71